



## სახელმწიფო აუდიტის სამსახური

“ ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ “

თავდაცვის, საზოგადოებრივი  
წესრიგის და უსაფრთხოების  
სფეროს აუდიტის დეპარტამენტის  
უფროსი

*ფ. შ. შ.*

ფრიდონ შენგელია

„*30*“ „*08*“ 2013 წელი

ეგზ. N3

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში არსებული  
საჯარო სამართლის იურიდიული პირის დაცვის პოლიციის დეპარტამენტის

ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ანგარიში

*31/00*

01.01.2010წ. – 01.01.2013წ.

|                                                                        |           |
|------------------------------------------------------------------------|-----------|
| <b>შინაარსი</b>                                                        | <b>33</b> |
| <b>დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ .....</b>                    | <b>4</b>  |
| უარყოფითი აუდიტორული მოსაზრების საფუძვლები .....                       | 5         |
| მოთხოვნები დანაკლისებით .....                                          | 5         |
| ინვენტარიზაციის შედეგები .....                                         | 6         |
| დებიტორული დავალიანებები .....                                         | 7         |
| კრედიტორული დავალიანებები .....                                        | 9         |
| ფინანსური აქტივები .....                                               | 10        |
| უარყოფითი მოსაზრება .....                                              | 11        |
| <b>დასკვნა კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ .....</b>           | <b>11</b> |
| უარყოფითი აუდიტორული მოსაზრების საფუძვლები .....                       | 12        |
| შპს „გორის სასათბურე მეურნეობის“ დაფუძნება .....                       | 12        |
| საფეხბურთო კლუბ „გორის დილასთან“ გაფორმებული ხელშეკრულებები .....      | 14        |
| შპს „ბრენდჰაუსთან“ გაფორმებული ხელშეკრულება .....                      | 16        |
| სს „ლიბერთი ბანკთან“ გაფორმებული ხელშეკრულება .....                    | 17        |
| დაცვით-საგანგაშო სიგნალიზაციის საშუალებების შესყიდვა .....             | 18        |
| პოლიციელთა უნიფორმის შესყიდვა .....                                    | 20        |
| ასიგნებების გადანაწილებაში არსებული კანონდარღვევები .....              | 23        |
| მარაგების და არაფინანსური აქტივების ბრუნვაში არსებული დარღვევები ..... | 25        |
| ავტომანქანების ჩანაცვლებაში არსებული დარღვევები .....                  | 27        |
| შსს აკადემიასთან გაფორმებული ხელშეკრულებები .....                      | 31        |
| რაბათის ციხე-სიმაგრის კომპლექსის სამშენებლო სამუშაოები .....           | 32        |
| არაგაზარტული ტვირთების დაცვა-გაცილებაზე გაწეული მომსახურებები .....    | 33        |
| კომერციული ბანკებისგან სატრანსპორტო საშუალებების შესყიდვა .....        | 36        |

|                                                             |    |
|-------------------------------------------------------------|----|
| სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული სხვა დარღვევები ..... | 37 |
| ბინის ქირა .....                                            | 41 |
| წარმომადგენლობითი ხარჯები .....                             | 41 |
| საავიაციო საწვავის შესყიდვა .....                           | 43 |
| პრემიები .....                                              | 44 |
| მივლინებები ქვეყნის გარეთ .....                             | 45 |
| უარყოფითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე .....  | 47 |

## **დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ**

### **დეპარტამენტის ხელმძღვანელობას**

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის დაცვის პოლიციის დეპარტამენტის (შემდგომში „დეპარტამენტი“) ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი, რომელიც მოიცავს ბალანსებს 2010, 2011 და 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მათთან დაკავშირებულ ანგარიშებს. თითოეული პერიოდის აუდიტი მოიცავს შემდეგ ანგარიშებს: ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ, ანგარიში ფინანსური აქტივებით და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ, ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ, ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ და ანგარიში ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ. აუდიტი ასევე მოიცავს ანგარიშს ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ.

### **ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით**

დეპარტამენტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციისა და 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ N364 ბრძანების შესაბამისად.

აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლობიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

### **აუდიტორის პასუხისმგებლობა**

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნას გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განსაზღვრავს შესაფერისი თუ არა შიდა კონტროლი სამართლიანი და უტყუარი ფინანსური ანგარიშგების

მომზადებისთვის. შიდა კონტროლის შეფასება მიზნად ისახავს მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და არა შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე მოსაზრების გამოთქმას. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსატქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

## **უარყოფითი აუდიტორული მოსაზრების საფუძვლები ფინანსური ანგარიშგების შესახებ**

### **მოთხოვნები დანაკლისებით**

დეპარტამენტის ფინანსურ ანგარიშგებაში 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ანგარიშზე N1440 (მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით) ირიცხებოდა თანხა 65.4 ათასი ლარის ოდენობით. როგორც შემოწმებით გაირკვა აღნიშნული თანხიდან 45.5 ათასი ლარი წარმოადგენს შემდეგი გაქურდული ობიექტებისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ანაზღაურებულ თანხას: სს „ელიტ-ელექტრონიკსი“-37.0 ათასი ლარი, შპს „ო. ღუდუშაურის სახ. ეროვნული სამედიცინო ცენტრი“-2.7 ათასი ლარი, შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-3.0 ათასი ლარი, სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“-1.7 ათასი ლარი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო-1.1 ათასი ლარი.

საბუღალტრო სამსახურის პასუხისმგებელი პირების განმარტებით ზიანის ანაზღაურებისთვის გადახდილი თანხები ბუღალტრულად „მოთხოვნებში“ აისახა იმ მოსაზრებით, რომ დაცვის ობიექტების ქურდობაში ბრალდებულ პირებს სასამართლოს გადაწყვეტილებით დაეკისრებოდათ ზიანის ასანაზღაურებლად გადახდილი თანხების დეპარტამენტის სასარგებლოდ ანაზღაურება. მაგალითად, დეპარტამენტსა და სს „ელიტ-ელექტრონიკსს“ შორის 2007 წლის 6 აგვისტოს გაფორმებული N8/1-2060 ხელშეკრულების მეოთხე მუხლის შესაბამისად 2008 წლის 8 ივლისს გაფორმდა ურთიერთშეთანხმების დოკუმენტი ზარალის ანაზღაურების შესახებ (37.0 ათას ლარზე), რომელიც გამოწვეული იყო მაღაზიის გაქურდვით. როგორც შსს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს პოლიციის მე-2 განყოფილების უფროსის დეპარტამენტისთვის გამოგზავნილი 2011 წლის 23 თებერვლის N225749 წერილით ირკვევა აღნიშნულ ქურდობაზე დაკავებული იქნა კახაბერ სართანია და საქმე 2008 წლის 11 სექტემბერს არსებითი განხილვისთვის გაიგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 16 დეკემბრის განაჩენის მიხედვით კახაბერ სართანიას დაეკისრა დეპარტამენტის სასარგებლოდ 37.0 ათასი ლარის გადახდა. აღნიშნული თანხა გადახდილი არ არის. გაურკვეველი მიზეზით დეპარტამენტის მიერ არ გატარებულა ზომები კუთვნილი თანხის ამოღების მიზნით. სხვა საქმეებთან დაკავშირებით დეპარტამენტმა ვერ წარმოადგინა ვერანაირი იურიდიული დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც მას ჰქონდა პერსპექტივა, რომ აღნიშნულ თანხებს დაიბრუნებდა.

როგორც შსს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს წერილებიდან ირკვევა ზემოაღნიშნული დანარჩენი ობიექტების ქურდობასთან დაკავშირებით საქმეები გახსნილი არ არის.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე დეპარტამენტის ბალანსში ასახული „მოთხოვნა“ 8.5 ათასი ლარის ოდენობით (45.5-37.0) არ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმს, რადგან არ წარმოადგენს წარსული მოვლენის შედეგად დეპარტამენტის მიერ კონტროლირებად რესურსს, რომლისგანაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალის შემოდინება<sup>1</sup> მანამდე, სანამ საქმეები არ გაიხსნება და არ იქნება შეტანილი სარჩელები სასამართლოში თანხების ანაზღაურებასთან დაკავშირებით. ასეთ შემთხვევაში თანხები უნდა აისახოს საცნობარო მუხლში<sup>2</sup>. აქედან გამომდინარე ფინანსური ანგარიშგება ზემოაღნიშნულ მუხლში გაზრდილად არის წარმოდგენილი.

გარდა ამისა 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დეპარტამენტის ბალანსის საცნობარო მუხლში „გადახდისუუნარო დებიტორების ჩამოწერილი დავალიანება“ სხვა ჩამოწერილ დავალიანებასთან ერთად ირიცხებოდა სს „საქართველოს რკინიგზის“ გაქურდვის შედეგად 2007 წელს ანაზღაურებული ზიანის თანხა 26.3 ათასი ლარის ოდენობით. ზემოაღნიშნულის მსგავსად აღნიშნულ მოთხოვნასაც არ გააჩნია იურიდიული საფუძველი (არ არის შეტანილი სარჩელი სასამართლოში და ა.შ.).

### ინვენტარიზაციის შედეგები

დეპარტამენტის თავმჯდომარის 2012 წლის 7 სექტემბრის N 1201752 ბრძანებით შეიქმნა კომისია დეპარტამენტის საწყობში არსებულ მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის ჩატარებასთან დაკავშირებით. სხვადასხვა დასახელების არაფინანსურ აქტივებზე და მატერიალურ მარაგებზე ინვენტარიზაციები მიმდინარეობდა სხვადასხვა ვადების განმავლობაში და შედგენილი იქნა რამდენიმე საინვენტარიზაციო უწყისი. ინვენტარიზაციის შედეგად 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით გამოვლინდა დანაკლისი ჯამურად 104.2 ათასი ლარის ოდენობით და ზედმეტობა ჯამურად 49.0 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის დანაკლისი: არასაბიუჯეტო სახსრებით შეძენილი სპეცტექნიკა - 75.5 ათასი ლარის, არასაბიუჯეტო სახსრებით შეძენილი ავტოსატრანსპორტო ნაწილები - 22.3 ათასი ლარის, საბიუჯეტო სახსრებით შეძენილი ავტოსატრანსპორტო ნაწილები - 6.0 ათასი ლარის და არასაბიუჯეტო სახსრებით შეძენილი უნიფორმა - 0.4 ათასი ლარის. ზედმეტობა გამოვლინდა შემდეგ აქტივებთან დაკავშირებით: არასაბიუჯეტო სახსრებით შეძენილი სპეცტექნიკა - 47.0 ათასი ლარის, არასაბიუჯეტო სახსრებით შეძენილი ავტოსატრანსპორტო ნაწილები - 1.9 ათასი ლარის და არასაბიუჯეტო სახსრებით შეძენილი უნიფორმა - 0.1 ათასი ლარის.

<sup>1</sup> საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ მე-2 მუხლის „თ“ პუნქტის მიხედვით.

<sup>2</sup> საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ 43-ე მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნა.

აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული დანაკლისი დეპარტამენტის ფინანსურ ანგარიშგებაში 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასახულია არასრულყოფილად 93.6 ათასი ლარის ოდენობით (ნაცვლად 104.2 ათასი ლარისა). სხვაობის - 10.6 ათასი ლარის ბალანსში არ ასახვის საფუძვლად ბუღალტერიის მიერ მოტანილი იქნა სასაწყობო ქვეგანყოფილების უფროსის 2013 წლის 11 თებერვლის პატაკი, რომელშიც ის აცხადებს, რომ N7 და N8 საინვენტარიზაციო უწყისებში დაფიქსირებული იყო შეცდომები. თუმცა საინვენტარიზაციო კომისიას დასკვნაში კორექტირება არ შეუტანია. შესაბამისად ბალანსში აღნიშნული მუხლი არასწორად არის წარმოდგენილი.

გარდა ამისა აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული დანაკლისი კლასიფიცირებულია არასწორად - საბალანსო ანგარიშზე N1359 (მოთხოვნები ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების დანაკლისებით). საწყობის ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი მატერიალურ ფასეულობათა დანაკლისი ასახული უნდა იყოს საბალანსო ანგარიშზე N1440 (მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით)<sup>3</sup>.

დეპარტამენტმა ვერ წარმოადგინა 2010-2011 წლების პერიოდის საწყობში არსებულ მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტები. რითაც ასევე დარღვეულია კანონმდებლობის მოთხოვნა<sup>4</sup>.

### **დებიტორული დავალიანებები**

2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დეპარტამენტს საბალანსო ანგარიშზე N1355 „მოთხოვნები ფულად სახსრებზე და მათ ექვივალენტებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით“ ერიცხებოდა დავალიანება 11112.8 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის მნიშვნელოვანი ნაწილი (6078.6 ათასი ლარი) წარმოადგენს გასული წლების დავალიანებებს, რომელთა ამოღების მიზნით დეპარტამენტის მიერ არ გატარებულა შესაბამისი ღონისძიებები. მაგალითად:

დებიტორულ დავალიანებათა შორის აღსანიშნავია 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შპს „ნიუ ენერჯიუ“ რიცხული დავალიანება 1736.0 ათასი ლარის ოდენობით. 2010 წლის განმავლობაში დეპარტამენტმა აღნიშნულ კომპანიას გაუწია 241.3 ათასი ლარის დაცვითი მომსახურება. კომპანიას წლის განმავლობაში მომსახურების საფასურის ღირებულება საერთოდ არ გადაუხდია. დეპარტამენტის მიერ არ მომხდარა არანაირი რეაგირება. მიუხედავად ამისა 2011 წლის განმავლობაშიც გაგრძელდა მომსახურების გაწევა. წლის განმავლობაში კომპანიას გაეწია 682.6 ათასი ლარის დაცვითი მომსახურება. კომპანიის მიერ არც 2011 წლის განმავლობაში იქნა გადახდილი რაიმე თანხა. მომსახურების გაწევა გაგრძელდა 2012 წლის განმავლობაშიც და გაწეული იქნა 812.0 ათასი ლარის მომსახურება. შპს „ნიუ ენერჯის“ მიერ არც 2012 წლის განმავლობაში იქნა თანხები გადახდილი. დეპარტამენტმა მხოლოდ 2012 წლის 12 ნოემბერს N12111330/7335 განცხადებით მიმართა

<sup>3</sup> საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-13 მუხლის 38-ე პუნქტის მოთხოვნა.

<sup>4</sup> საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის მე-3 მუხლის მოთხოვნა.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს. ბიუროს 2012 წლის 5 დეკემბრის N12111330/8938 ბრძანებით შპს „ნიუ ენერჯის“ დაეკისრა თანხის გადახდა. თუმცა 2012 წლის დეკემბრიდან შპს „ნიუ ენერჯი“ გადასულია გადახდისუნარობის (გაკოტრების) საქმისწარმოების რეჟიმში და თანხების ამოღების პერსპექტივა პრაქტიკულად აღარ არსებობს. შედეგად დეპარტამენტზე მიყენებულმა ზარალმა შეადგინა 1736.0 ათასი ლარი. გაურკვეველია აღნიშნული კომპანიისადმი ლოიალური დამოკიდებულების და დეპარტამენტის საკუთარი შემოსავლების მობილიზების მიმართ არასათანადო დამოკიდებულების მიზეზები.

აღსანიშნავია აგრეთვე სს „თბილისის საერთაშორისო აეროპორტზე“ 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით რიცხული დავალიანება 1604.3 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც წარმოიშვა 2012 წლის განმავლობაში. გაურკვეველი მიზეზით აუდიტის მიმდინარეობის პერიოდისთვის დავალიანება დაფარული არ არის.

სხვა დებიტორებს შორის მნიშვნელოვანია შპს „ბორჯომის პარკზე“ რიცხული 2009-2011 წლებში წარმოშობილი დავალიანება 297.8 ათასი ლარის ოდენობით, შპს „ელექტროსისტემაზე“ რიცხული 1999-2005 წლებში წარმოშობილი დავალიანება 435.6 ათასი ლარის ოდენობით, შპს „ქართულ პროდუქტზე“ რიცხული 2008-2009 წლებში წარმოშობილი დავალიანება 100.3 ათასი ლარის ოდენობით, საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროზე რიცხული 2003 წლამდე წარმოშობილი დავალიანება 400.7 ათასი ლარის ოდენობით (აღნიშნული დავალიანება არასწორად არის აღრიცხული ანგარიშზე N1430 „მოთხოვნები წინასწარი გადახდებით“ ნაცვლად ანგარიშისა N1355 „მოთხოვნები ფულად სახსრებზე და მათ ექვივალენტებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით“, შესაბამისად აღნიშნული მუხლები არასწორად არის წარმოდგენილი 400.7 ათასი ლარით). აღსანიშნავია აგრეთვე ფიზიკურ პირებზე რიცხული 2012 წლამდე წარმოშობილი დებიტორული დავალიანებები, რომელთა ამოსაღებად შესამოწმებელ პერიოდში არ გატარებულა შესაბამისი ღონისძიებები.

გარდა ზემოაღნიშნულისა, დეპარტამენტს 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ბალანსის საცნობარო მუხლში „გადახდისუნარო დებიტორების ჩამოწერილი დავალიანება“ ერიცხება დავალიანება 2710.2 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის ირიცხება 1999-2004 წლებში წარმოშობილი შემდეგი ენერგობიექტების დავალიანებები (სულ 2491.6 ათასი ლარის ოდენობით): სს „ვარციხეჰესი“-534,0 ათასი ლარი, სს „თბილსრესი“-581.0 ათასი ლარი, სს „შაორჰესი“-594.8 ათასი ლარი, სს „მევრულჰესი“-461.3 ათასი ლარი, სს „გუმათჰესი“-204.6 ათასი ლარი და ა.შ. აღნიშნულ ორგანიზაციებთან დაკავშირებით შეტანილი იყო სარჩელები და სასამართლოს გადაწყვეტილებებით მათ დაეკისრათ თანხების გადახდა, თუმცა გაურკვეველი მიზეზებით არ გატარებულა შემდგომი ღონისძიებები დავალიანებების ამოსაღებად და ხანდაზმულობის მოტივით თანხები გადატანილია საცნობარო მუხლებში. ხანდაზმულობის საფუძველად არასწორად არის მოტანილი კანონის ნორმა, რომლის მიხედვითაც<sup>5</sup> სახელმეკრულებო მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს მაშინ, როცა იმავე კანონის სხვა ნორმის მიხედვით<sup>6</sup> სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადაა ათი წელი. შესაბამისად ნაშთი საბალანსო ანგარიშზე N1355 „მოთხოვნები ფულად სახსრებზე და მათ ექვივალენტებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით“ შემცირებულია 2491.6 ათასი ლარით. მიზანშეწონილი იქნება დეპარტამენტის იურიდიულმა სამსახურმა მოახდინოს

<sup>5</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით.

<sup>6</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 142-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით.

აღნიშნული დავალიანებების ამოღების სამართლებრივი საფუძვლების ანალიზი და შემდგომი რეაგირება თანხების ამოღების მიზნით.

დებიტორული დავალიანებებიდან აღსანიშნავია აგრეთვე ანგარიშზე N1430 „მოთხოვნები წინასწარი გადახდებით“ შსს აპარატზე 2003 წლიდან რიცხული დავალიანება 201.4 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული დავალიანება შსს აპარატს აღრიცხული არ აქვს კრედიტორულ დავალიანებად. შესაბამისად გაურკვეველია დავალიანების რეალობა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა დაფიქსირებული იყო საქართველოს კონტროლის პალატის მიერ ჩატარებულ 2009 წლის ფინანსური აუდიტის აქტშიც, მაგრამ დეპარტამენტის მიერ არ გატარებულა ზომები დავალიანების რეალობის დასადგენად. აღსანიშნავია აგრეთვე საწარმო „სავანეზე“ (ი/მ „ზაზა ჯაფარიძე“) რიცხული დავალიანება 324.4 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც პასუხისმგებელი პირების განმარტებით წარმოადგენს 2002–2003 წლებში ფაქტობრივად შესრულებულ სამშენებლო–სამონტაჟო სამუშაოებს (დაცვის პოლიციის გლდან–ნაძალადევის რაიონის განყოფილების ოფისში), მაგრამ გაურკვეველი მიზეზით მიღება–ჩაბარების აქტი დღემდე გაფორმებული არ არის.

რაც შეეხება სხვა დანარჩენ მრავალ თანხობრივად შედარებით მცირე დებიტორულ დავალიანებებს, იმის გამო რომ გასულ წლებშია აღიარებული, გაურკვეველია, წარმოშობის მიზეზები მომწოდებლების მხრიდან ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობაა თუ მიღება–ჩაბარების აქტების გაუფორმებლობა. ვერ იქნა წარმოდგენილი ურთიერთშედარების აქტები. შედეგად ფინანსური ანგარიშგების აღნიშნული მუხლების სიზუსტე გაურკვეველია. მიზანშეწონილი იქნება ჩატარდეს დავალიანებათა სრული ინვენტარიზაცია.

### კრედიტორული დავალიანებები

დეპარტამენტს ბალანსში 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ანგარიშზე N3210 „მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები“ ერიცხება კრედიტორული დავალიანება 1521.5 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის ირიცხება ბანკებიდან შეძენილი ბრონირებული ავტომანქანების ღირებულება 954.7 ათასი ლარის ოდენობით. ავტომანქანების შეძენით წარმოშობილი დავალიანება ასახული უნდა იყოს ანგარიშზე N3220 „აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები“ და არა ანგარიშზე N3210. ზემოაღნიშნული მუხლები არასწორად არის წარმოდგენილი<sup>7</sup>.

საბალანსო ანგარიშზე N3251 „შტატით მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები“ 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ირიცხებოდა კრედიტორული დავალიანება 789.4 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის საბიუჯეტო დავალიანება შეადგენს 171.9 ათას ლარს (გასული წლების საბიუჯეტო დაუფინანსებლობით წარმოშობილი დავალიანება). რაც შეეხება არასაბიუჯეტო სექტორს, დავალიანებების წარმოშობის მიზეზია ის, რომ დეპარტამენტის იმ თანამშრომლებზე, რომელთა დასაცავი ობიექტების მიერ არ ხდება თანხების გადახდა, არ ხორციელდება ხელფასების გაცემა (ძირითადად პირადი დაცვის ობიექტების თანამშრომლებზე).

<sup>7</sup> საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა.

გარდა ზემოაღნიშნულისა დეპარტამენტს დამატებით, შრომის ანაზღაურების სახით, საბალანსო ანგარიშზე N3260 „ვალდებულებები დეპონენტების მიმართ“ ერიცხებოდა კრედიტორული დავალიანება 181.7 ათასი ლარის ოდენობით. ხოლო საბალანსო ანგარიშზე N3300 „გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები“ ერიცხებოდა დავალიანება 4389.8 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც წარმოადგენს სს „ლიბერთი ბანკთან“ გაფორმებული ხელშეკრულების შედეგად წარმოშობილ ვალდებულებას.

რაც შეეხება საგადასახადო ვალდებულებებს, ბალანსში 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ირიცხებოდა ჯამურად 2270.0 ათასი ლარის დავალიანება. მათ შორის საბალანსო ანგარიშზე N3244 „სხვა გადასახდელები“ ირიცხებოდა დავალიანება 1031.1 ათასი ლარის ოდენობით, რომელთა შორის ნაწილი წარმოადგენს მიმდინარე დავალიანებებს, ხოლო ნაწილი 2008 წლამდე მოქმედი სოციალური გადასახადის დავალიანებას (658.0 ათასი ლარი), რომელიც პასუხისმგებელი პირების განმარტებით საგადასახადო ორგანოში პირად ბარათზე არ ირიცხება. აქედან გამომდინარე მიზანშეწონილი იქნება დეპარტამენტმა საგადასახადო ორგანოებთან გაარკვიოს დავალიანების რეალობის და ხანდაზმულობის საკითხი, რათა საბალანსო მონაცემები უტყუარი და სამართლიანი გახდეს.

### **ფინანსური აქტივები**

2011 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დეპარტამენტის ფულადი სახსრების ფაქტობრივი ოდენობა (ნაშთები საბანკო ანგარიშებზე და სალაროში) შეადგენდა 4008.1 ათას ლარს. ორგანიზაციის ბალანსში (ფ. N1) ფულადი სახსრები აღრიცხულია 4009.4 ათასი ლარით (აღრიცხულია უზუსტოდ 1.3 ათასი ლარის მეტობით). ხოლო ბალანსის დანართ ფორმა N4-ში (სხვა შემოსავლების მოძრაობის შესახებ) ფულადი სახსრების ნაშთი აღრიცხულია 3724.9 ათასი ლარით (აღრიცხულია უზუსტოდ 283.2 ათასი ლარის ნაკლებობით).

2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დეპარტამენტის ფულადი სახსრების ფაქტობრივი ოდენობა შეადგენდა 2857.4 ათას ლარს. ორგანიზაციის ბალანსში (ფ. N1) ფულადი სახსრები აღრიცხულია 2855.9 ათასი ლარით (აღრიცხულია უზუსტოდ 1.5 ათასი ლარის ნაკლებობით). ხოლო ბალანსის დანართ ფორმა N4-ში ფულადი სახსრების ნაშთი აღრიცხულია 2688.3 ათასი ლარით (აღრიცხულია უზუსტოდ 169.1 ათასი ლარის ნაკლებობით).

2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დეპარტამენტის ფულადი სახსრების ფაქტობრივი ოდენობა შეადგენდა 3489.6 ათას ლარს. ორგანიზაციის ბალანსში (ფ. N1) ფულადი სახსრები აღრიცხულია 3488.9 ათასი ლარით (აღრიცხულია უზუსტოდ 0.7 ათასი ლარის ნაკლებობით). ხოლო ბალანსის დანართ ფორმა N4-ში ფულადი სახსრების ნაშთი აღრიცხულია 3383.8 ათასი ლარით (აღრიცხულია უზუსტოდ 105.8 ათასი ლარის ნაკლებობით).

პასუხისმგებელი პირების განმარტებით ბალანსის (ფ.N1) მონაცემებსა და საბანკო ამონაწერებს შორის სხვაობები გამოწვეულია იმით, რომ ლიბერთი ბანკში არსებულ ბიზნეს ბარათების ანგარიშებზე ნაშთები ინფო ბუღალტერიაში ასახულია არა როგორც ფულადი სახსრების ნაშთი, არამედ როგორც საქვეანგარიშო თანხები. აღნიშნულის გათვალისწინებითაც ადგილი აქვს სხვაობებს, რომლის მიზეზად დასახელდა ის გარემოება,

რომ კლიენტების მიერ თიბისი ფეის, ნოვა ტექნოლოჯის და ლიბერთი ბანკის საშუალებით განხორციელებული საბილინგო გადახდები ინფო პროგრამაში იმავე დღესვე აისახება, ხოლო საბანკო ანგარიშებზე მოგვიანებით.

ბალანსის დანართ ფორმა N4-სა და საბანკო ამონაწერებს შორის გამოვლენილი სხვაობების მიზეზად მოტანილია არაეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული თანხების არ ასახვა. თუმცა აღნიშნულის გათვალისწინებითაც ადგილი აქვს სხვაობებს.

### **უარყოფითი მოსაზრება**

ჩვენი აზრით, უარყოფითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენის მნიშვნელობის გამო, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგებები სამართლიანად არ ასახავს დეპარტამენტის ფინანსურ მდგომარეობას 2011 წლის წლის 1 იანვრის, 2012 წლის 1 იანვრის და 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

### **დასკვნა დეპარტამენტის საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ**

#### **ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა**

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და მის სამართლიან წარდგენაზე პასუხისმგებლობის გარდა, რომელიც აღწერილია ზემოთ, დეპარტამენტის ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია, რომ უზრუნველყოს ორგანიზაციის საქმიანობის და ფინანსური ოპერაციების კანონმდებლობასთან შესაბამისობა.

#### **აუდიტორის პასუხისმგებლობა**

გარდა ფინანსურ ანგარიშგებაზე მოსაზრების გამოთქმის პასუხისმგებლობისა, რომელიც აღწერილია ზემოთ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პასუხისმგებლობაა აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ. ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნას გონივრული რწმუნება იმის შესახებ შეესაბამება თუ არა დეპარტამენტის საქმიანობა და ფინანსური ოპერაციები მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

## უარყოფითი აუდიტორული მოსაზრების საფუძვლები შესაბამისობის შესახებ

### შპს „გორის სასათბურე მეურნეობის“ დაფუძნება

შსს მინისტრის 2005 წლის 23 მარტის N266 ბრძანებით დამტკიცებულ სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დებულებაში 2012 წლის 26 აპრილის N291 ბრძანებით შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც დეპარტამენტს მიეცა უფლებამოსილება დაეფუძნებინა კერძო სამართლის იურიდიული პირი. დეპარტამენტმა იმავე დღეს, 26 აპრილის N531549 წერილით მიმართა მინისტრს, რათა მიეღო თანხმობა დაეფუძნებინა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და აეშენებინა ქ. გორში სასათბურე მეურნეობა. საიდანაც მიღებული შემოსავლები მოხმარდებოდა დაცვის პოლიციის დეპარტამენტისა და სამინისტროს განვითარებას. იმავე დღეს, დეპარტამენტის თავმჯდომარის 2012 წლის 26 აპრილის N531670 ბრძანებით დამტკიცდა წესდება და დაფუძნდა შპს „გორის სასათბურე მეურნეობა“ და დირექტორად დაინიშნა პაატა ზურებიანი (იმავედროულად დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე). საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა 6000.0 ათასი ლარით. დეპარტამენტის მიერ საწესდებო კაპიტალის შესავსებად ეტაპობრივად გადაირიცხა 3652.0 ათასი ლარი, საიდანაც უკან ამოღებული იქნა 413.5 ათასი ლარი. საბოლოოდ საწესდებო კაპიტალში ფულადი სახით შენატანმა შეადგინა 3238.5 ათასი ლარი. გარდა ამისა, დეპარტამენტმა 2012 წლის 2 მაისის N562778 წერილით სამინისტროსგან მოითხოვა თანხმობა რათა შეეძინა მიწის ნაკვეთები და შეეტანა შპს „გორის სასათბურე მეურნეობის“ კაპიტალში. თანხმობის მიღების შემდეგ დეპარტამენტის მიერ ოთხი მოქალაქისგან შეძენილი იქნა ჯამურად სასოფლო სამეურნეო დანიშნულების 7258 მ<sup>2</sup> მიწის ნაკვეთები თანხით 10.4 ათასი ლარი (საშუალო ფასი 1.43 ლარი/მ<sup>2</sup>). შეძენილი იქნა აგრეთვე შპს „გაზინვესტ-გორისგან“ 5019 მ<sup>2</sup> არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 50.0 ათას ლარად (1მ<sup>2</sup>-9.96 ლარი). აღნიშნული მიწის ნაკვეთები (ღირებულებით 60.4 ათასი ლარი) დეპარტამენტის 2012 წლის 15 მაისის N618880 ბრძანებით შეტანილი იქნა შპს „გორის სასათბურე მეურნეობის“ კაპიტალში. თუმცა ბრძანებაში არ არის მითითებული ფართი და საბალანსო ღირებულება. სულ დეპარტამენტის მიერ აღნიშნული შპს-ს კაპიტალში შესატანად საკუთარი სახსრებიდან გადახდილი იქნა 3298.9 ათასი ლარი.

2012 წლის 12 ივლისს დეპარტამენტს წერილით (N1/12-0712/01) მიმართა ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდმა“, რომელშიც გამოთქვა სურვილი შეეძინა დეპარტამენტის მიერ დაფუძნებული შპს „გორის სასათბურე მეურნეობის“ 100% წილი. დეპარტამენტმა 2012 წლის 13 ივლისის N919711 წერილით მიმართა შს მინისტრს თანხმობის მისაღებად რათა გასხვისებულიყო აღნიშნული შპს. იმავე დღეს 13 ივლისს გამოიცა დეპარტამენტის ბრძანება N921514, რომლითაც მიღებული იქნა გადაწყვეტილება 100% წილის გასხვისებაზე.

დეპარტამენტმა 2012 წლის 17 ივლისის N941284 წერილით მიმართა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს რათა დაჩქარებული წესით შეეფასებინა შპს „გორის სასათბურე მეურნეობის“ ქონება. ბიუროს 2012 წლის 20 ივლისის N021034-2012 წერილით მიღებული იქნა 2012 წლის 20 ივლისის N023854-2012/10/2 ფინანსური ექსპერტიზის დასკვნა, რომელშიც დაფიქსირებულია რომ 2012 წლის 20 ივლისის მდგომარეობით შპს „გორის სასათბურე მეურნეობის“ მიერ სასათბურე კომპლექსის

მოსაწყობად გაწეული დანახარჯები შეადგენს სულ 3288.0 ათას ლარს (დღგ-ს ჩათვლით). მათ შორის მიწის ნაკვეთების ღირებულება - 60.4 ათას ლარს. ზემოაღნიშნულის საფუძველზე 2012 წლის 25 ივლისს დეპარტამენტსა და ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება N01/04-07/12 100% წილის ნასყიდობის თაობაზე, რომლის მიხედვითაც წილის ნასყიდობის თანხამ შეადგინა 3300.0 ათასი ლარი, ანუ პრაქტიკულად ზუსტად იმდენი, რაც გახარჯა დეპარტამენტმა. ამასთან ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ თანხის გადახდა შესაძლებელია განხორციელდეს ეტაპობრივად ხელშეკრულების დანართის შესაბამისად, რომელშიც გაწერილია გრაფიკი სამ წელზე და თანხა შეადგენს 3844.2 ათას ლარს (მათ შორის ნასყიდობის თანხა შეადგენს 3300.0 ათას ლარს, ხოლო პროცენტი გადახდის გადავადებაზე - 544.2 ათას ლარს). გრაფიკის მიხედვით გადახდები უნდა განხორციელდეს: 2013 წლის ივნისში-1372.7 ათასი ლარი, 2014 წლის ივნისში-1280.1 ათასი ლარი და 2015 წლის ივნისში-1191.4 ათასი ლარი. გასხვისების შემდეგ შპს „გორის სასათბურე მეურნეობის“ დირექტორად დაინიშნა გიორგი გვაზავა, რომელიც იმავდროულად მუშაობდა დეპარტამენტის საკადრო და ორგანიზაციული უზრუნველყოფის მთავარი სამმართველოს საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის სამმართველოს საიარაღო განყოფილების უფროსის თანამდებობაზე.

დეპარტამენტის მიერ განხორციელებული ზემოაღნიშნული ოპერაციების და მიღებული გადაწყვეტილებების ანალიზით ისმება კითხვები და შესაძლებელია შემდეგი დასკვნების გაკეთება:

- შპს „გორის სასათბურე მეურნეობის“ დაფუძნება მიზნად ისახავდა დამატებითი შემოსავლების მიღებას, რომელიც უნდა მოხმარებოდა დეპარტამენტის და სამინისტროს მიზნებისა და ფუნქციების უკეთ განხორციელებას. გაურკვეველია რატომ გასხვისდა აღნიშნული შპს დაფუძნებიდან სამ თვეში და რატომ დაემთხვა ამ გადაწყვეტილების მიღება შინაგან საქმეთა მინისტრის ცვლილებას.

- შპს „გორის სასათბურე მეურნეობის“ დირექტორის თანამდებობაზე რატომ ინიშნებოდნენ დეპარტამენტის ხელმძღვანელი პირები, რომლებიც იმავდროულად რჩებოდნენ თავიანთ თანამდებობებზე.

- შპს-ს გასხვისებიდან მისაღები თანხის გადახდის გადავადება ფაქტობრივად წარმოადგენს სესხის გაცემას, რაც სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს. კანონმდებლობის შესაბამისად<sup>8</sup> ეს გადაწყვეტილება შეთანხმებული უნდა იყოს სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოსთან. სამინისტროს თანხმობა წარმოდგენილი ვერ იქნა.

- მიუხედავად იმისა, რომ გასხვისების მომენტისთვის მოწვეული იქნა ექსპერტიზა შპს „გორის სასათბურე მეურნეობის“ ქონების შესაფასებლად, ექსპერტიზის მიერ შპს-ს ქონება არ შეფასებულა. ექსპერტის მიერ დათვლილი იქნა მხოლოდ შპს-ს მიერ გაწეული ხარჯები და დასკვნაში დაფიქსირდა მხოლოდ ხარჯების ჯამური ციფრი (ეს ინფორმაცია ბუღალტერიასაც შეეძლო მოეწოდებინა). გაწეული ხარჯების (ინვესტიციის) ოდენობა და საწარმოს საბაზრო ღირებულება სხვადასხვა სიდიდეებია. საწარმოს საბაზრო ღირებულებას განსაზღვრავს ბიზნესის სახეობა (გასათვალისწინებელია, რომ სასათბურე ბიზნესი

<sup>8</sup> საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის 1-ლი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის მოთხოვნა.

რენტაბელურად არის მიჩნეული), აქტივების და ვალდებულებების საბაზრო ღირებულება, საწარმოს ფინანსური მდგომარეობა და ა.შ. გასხვისების დროს გაითვალისწინება გუდვილიც (არსებობის შემთხვევაში). გონივრულ ექვს იწვევს თუ რამდენად შეესაბამება დეპარტამენტის მიერ მოსახლეობისგან შესყიდული მიწის ფართობის 1მ<sup>2</sup>-ის ფასები (რომლებიც მერყეობს 1.28 ლარიდან 1.56 ლარამდე) მათ საბაზრო ღირებულებას.

აქედან გამომდინარე ექსპერტიზის მიერ საწარმოს საბაზრო ღირებულების შეფასება ფაქტობრივად არ მომხდარა და აღნიშნული დასკვნის საფუძველზე გასხვისების ფასის განსაზღვრით დეპარტამენტს სავარაუდოდ მიღებული აქვს მნიშვნელოვანი ფინანსური ზარალი (რომლის ოდენობა შესაძლებელია დადგინდეს ექსპერტების მიერ საწარმოს რეალური საბაზრო ღირებულების შეფასების შემდეგ).

### **ააიპ გორის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „გორის დილასთან“ გაფორმებული ხელშეკრულებები სპონსორობის შესახებ**

2011 წლის 18 ნოემბერს დეპარტამენტმა ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის თ. ბურჯანაძის სახელობის საფეხბურთო კლუბ „გორის დილასთან“ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გააფორმა ხელშეკრულება N03/793/02 (ღირებულებით 70.0 ათასი ლარი) სარეკლამო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე. გამარტივებული შესყიდვის საშუალების გამოყენების საფუძველად მითითებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის 10<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი (გადაუდებელი აუცილებლობა). აღნიშნული შესყიდვის განხორციელებისას დეპარტამენტის მიერ უგულებელყოფილია კანონმდებლობის მოთხოვნა<sup>9</sup>, რომლის მიხედვითაც გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით გამარტივებული შესყიდვის საშუალების გამოყენების შემთხვევაში უნდა არსებობდეს ვითარება, რომელიც რეალურ საფრთხეს უქმნის შემსყიდველი ორგანიზაციის ფუნქციონირებას, ან რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივ ინტერესებს ან შემსყიდველი ორგანიზაციის ქონებას. ასეთი ვითარების არსებობა დასაბუთებული ვერ იქნა.

შსს მინისტრის 2005 წლის 23 მარტის N266 ბრძანებით დამტკიცებულ სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დებულებაში მინისტრის 2012 წლის 9 თებერვლის N104 ბრძანებით შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც დეპარტამენტს მიეცა უფლება შემოსავლები გამოეყენებინა საქმიანობის რეკლამირებისთვის (მათ შორის სპონსორობისთვის). საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით<sup>10</sup> სპონსორობა არის სარეკლამო მომსახურების შესყიდვის ფორმა და ასეთი მომსახურების შესყიდვის განხორციელება დეპარტამენტს დებულებაში ცვლილების შეტანის გარეშე შეეძლო. მაგრამ ასეთი სახის საქმიანობა დეპარტამენტს უნდა განეხორციელებინა გონივრულობის ფარგლებში და სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის დაცვით, რაც არ განხორციელებულა. კერძოდ:

<sup>9</sup> სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ლ“ პუნქტის მოთხოვნა. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნა.

<sup>10</sup> რეკლამის შესახებ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მიხედვით.

2011 წლის 20 დეკემბერს დეპარტამენტსა და იმავე ა(ა)იპ გორის საფეხბურთო კლუბ „გორის დილას“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება N06/04 სპონსორობის შესახებ ღირებულებით - 2161.8 ათასი ლარი. ხელშეკრულება გაფორმებულია შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის დარღვევით, ელექტრონული ტენდერის გარეშე<sup>11</sup>. ხელშეკრულების მიხედვით რეკლამის გამავრცელებელი (დასპონსორებული) უზრუნველყოფდა რეკლამის გავრცელებას 10 იანვრიდან 2012 წლის ბოლომდე. სარეკლამო ბანერები უნდა განეთავსებინა სტადიონის შიდა და გარე პერიმეტრზე ეროვნული ჩემპიონატისა და თასის მატჩებზე, ასევე უნდა მოეხდინა დეპარტამენტის ლოგოტიპის რეკლამირება ფეხბურთელთა მაისურებზე, ტრანსპორტზე და სხვა ადგილებზე. მიუხედავად იმისა, რომ მომსახურების გაწევა უნდა დაწყებულიყო 10 იანვრიდან, პირველ ეტაპზე თანხა (111.0 ათასი ლარი) ავანსად გადაირიცხა ხელშეკრულების გაფორმების დღესვე 2011 წლის 20 დეკემბერს და 2012 წლის 13 იანვარს წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის მიხედვით ეს თანხა შეადგენდა დეკემბრის თვის (ე.ი. წლის ბოლომდე დარჩენილი 11 დღის) მომსახურების საფასურს (რასაც არ ითვალისწინებდა ხელშეკრულება). ამასთან ერთად გაურკვეველია, თუ სად, რომელ მატჩებზე და სტადიონებზე მოხდა რეკლამირება, საერთოდ დეკემბრის ბოლო დღეებში ჰქონდა თუ არა კალენდრით მატჩები კლუბს. ანგარიშ-ფაქტურას არ ახლავს მიღება-ჩაბარების აქტი და გაწეული მომსახურების დეტალური ჩამონათვალი. გაურკვეველია, თუ რატომ მოხდა თანხის გადარიცხვა ხელშეკრულების პირობების დარღვევით.

გარდა ზემოაღნიშნული ხელშეკრულებებისა დეპარტამენტსა და იმავე ა(ა)იპ გორის საფეხბურთო კლუბ „გორის დილას“ შორის წლის განმავლობაში გაფორმდა კიდევ სამი ხელშეკრულება სპონსორობასთან დაკავშირებით: 2012 წლის 8 მაისის N11/14 ხელშეკრულება ღირებულებით - 2768.2 ათასი ლარი, 2012 წლის 30 ივლისის N11/19 ხელშეკრულება ღირებულებით - 1000.0 ათასი ლარი და 2012 წლის 15 აგვისტოს N11/23 ხელშეკრულება ღირებულებით - 1000.0 ათასი ლარი. ყველა ზემოაღნიშნული ხელშეკრულება გაფორმდა კანონდარღვევით (ელექტრონული ტენდერების გარეშე). სამივე ხელშეკრულების შინაარსი ზუსტად ანალოგიურია N06/04 ხელშეკრულების შინაარსისა. გათვალისწინებულია ზუსტად ანალოგიური სახის მომსახურება იგივე ვადის განმავლობაში (ხელშეკრულების გაფორმებიდან 2012 წლის ბოლომდე). გაურკვეველია, თუ რა დამატებითი მომსახურების გაწევას ისახავდა მიზნად ამ ხელშეკრულებების გაფორმება. იმ მომსახურების სახეობები და ვადები, რაც ამ სამი ხელშეკრულების პირობებით გაითვალისწინეს, თავდაპირველ N06/04 ხელშეკრულების პირობებშიც იყო გათვალისწინებული. სულ ერთი წლის განმავლობაში დეპარტამენტის მიერ საფეხბურთო კლუბ „გორის დილას“ ანგარიშზე საკუთარი სახსრებიდან ეტაპობრივად გადარიცხულია ჯამურად 6918.0 ათასი ლარი.

აღნიშნული ხელშეკრულებების გაფორმება განხორციელებულია რეკლამის შედეგად მისაღები ფინანსური შედეგის წინასწარი გათვლის გარეშე. დაუსაბუთებელია სახელშეკრულებო ღირებულებები. დეპარტამენტის მიერ ვერ იქნა დასაბუთებული რეკლამაში აღნიშნული სახით ჩადებული ინვესტიციიდან მიღებული ფინანსური თუ სხვა სახის დადებითი შედეგი. გორის რაიონიდან მიღებული შემოსავლების ანალიზით (2010 წელი - 479.4 ათასი ლარი, 2011 წელი - 604.0 ათასი ლარი, 2012 წელი - 807.7 ათასი ლარი) დასტურდება, რომ გადახდილი ფასი არაადეკვატურია შესყიდული მომსახურების რეალურ ღირებულებასთან შედარებით. თანხების გადარიცხვა წარმოებდა ეტაპობრივად და ავანსად.

<sup>11</sup> სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-10<sup>1</sup> მუხლის მოთხოვნა.

არ არის წარმოდგენილი წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში კანონმდებლობით განსაზღვრული<sup>12</sup> საბანკო გარანტიები. ავანსად გადარიცხვების შედეგად წარმოშობილი მოთხოვნების ჩამოწერა წარმოებდა ანგარიშ-ფაქტურების მიხედვით რომლებსაც არ ახლავს მტკიცებულებები თუ სად, როდის და რა სახის სარეკლამო მომსახურებები განხორციელდა. დეპარტამენტის მიერ საფეხბურთო კლუბ „გორის დილას“ ანგარიშზე თანხების გადარიცხვა, ფაქტობრივად წარმოადგენდა დაფინანსებას და არა სარეკლამო მომსახურების შესყიდვას.

ზემოაღნიშნული დასკვნის დამადასტურებელია ის ფაქტიც, რომ საფეხბურთო კლუბ „გორის დილას“ სპონსორობის გზით თითქმის 7 მლნ. ლარის „რეკლამაში ინვესტიციის“ შემდეგ (რომელსაც ბუნებრივია, რომ ძირითადად გორის რაიონის მასშტაბით ექნებოდა ეფექტი) დეპარტამენტის კლიენტების რაოდენობა გორის რაიონში მხოლოდ 38 ერთეულით გაიზარდა, რომლიდანაც მიღებულმა შემოსავლებმა 2012 წლის განმავლობაში შეადგინა მხოლოდ 69.6 ათასი ლარი.

საფეხბურთო კლუბის დაფინანსების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება არ წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირის კომპეტენციას. აღნიშნული სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გადასაწყვეტია და ასიგნება გათვალისწინებული უნდა იყოს შესაბამისი დონის დამტკიცებულ ბიუჯეტში. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით საჯარო სამართლის იურიდიული პირის შემოსავლები და სახსრები მთლიანად ხმარდება დებულებით განსაზღვრული მისი მიზნებისა და ფუნქციების განხორციელებას. მისი სახსრების სხვა მიზნით გამოყენება აკრძალულია<sup>13</sup>. ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე დეპარტამენტის მიერ კანონდარღვევით გახარჯულია 6918.0 ათასი ლარი.

### **შპს „ბრენდჰაუსთან“ გაფორმებული ხელშეკრულება სპონსორობასთან დაკავშირებით**

2010 წლის 21 დეკემბერს დეპარტამენტსა და შპს „ბრენდჰაუსს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება (უნომრო) სატელევიზიო სერიალ „დეტექტივების“ სპონსორობის შესახებ ღირებულებით - 100.0 ათასი ლარი. ხელშეკრულება გაფორმებულია შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის დარღვევით<sup>14</sup>, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის გარეშე. ხელშეკრულებაში განმარტებულია ზოგადად მხოლოდ ის, რომ კომპანიისთვის თანხის გადახდის სანაცვლოდ დეპარტამენტს მიენიჭება სპონსორის სტატუსი. ხელშეკრულებაში დაკონკრეტებული არ არის თუ სად, როგორი ფორმით და რა დროის განმავლობაში განხორციელდებოდა რეკლამირება. ხელშეკრულების გაფორმებიდან მეორე დღესვე 2010 წლის 22 დეკემბერს შპს „ბრენდჰაუსის“ მიერ წარმოდგენილი იქნა ანგარიშ-ფაქტურა (ბზ-05 2307508), რომლის მიხედვითაც სარეკლამო მომსახურება გაწეულად იქნა ჩათვლილი და ორი დღის შემდეგ 2010 წლის 24 დეკემბერს დეპარტამენტის მიერ საკუთარი სახსრებიდან გადახდილი იქნა 100.0 ათასი ლარი. გაურკვეველია, ხელშეკრულების გაფორმებიდან მეორე დღესვე დეპარტამენტის მიერ რატომ იქნა მიღებული

<sup>12</sup> სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის მე-19 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნა.

<sup>13</sup> საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა.

<sup>14</sup> სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-10<sup>1</sup> მუხლის მოთხოვნა.

და დადასტურებული ანგარიშ-ფაქტურა მაშინ, როცა მომსახურება რეალურად ჯერ გაწეული ვერ იქნებოდა. დეპარტამენტის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი მტკიცებულებები გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებით. დაუსაბუთებელია სახელშეკრულებო ღირებულება. ვერ იქნა დასაბუთებული რეკლამაში აღნიშნული სახით ჩადებული ინვესტიციიდან მიღებული ფინანსური შედეგი. ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე დეპარტამენტმა ფაქტობრივად განახორციელა კომპანიის დაფინანსება და არა სარეკლამო მომსახურების შესყიდვა, რის შედეგადაც კანონდარღვევით გახარჯა 100.0 ათასი ლარი.

### სს „ლიბერთი ბანკთან“ გაფორმებული ხელშეკრულება

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2012 წლის 24 მაისის N359 ბრძანებით დეპარტამენტს უფლება მიეცა აეღო სესხი სს „ლიბერთი ბანკიდან“ გენერალური საკრედიტო ხაზის მაქსიმუმ 5000.0 ათასი ლარის ოდენობით. ამავე ბრძანებით დეპარტამენტს უფლება მიეცა ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების უზრუნველსაყოფად ბანკის სასარგებლოდ იპოთეკით დაეტვირთა უძრავი ქონება, აგრეთვე ბანკიდან აეღო საბანკო გარანტია მაქსიმუმ ჯამური 2000.0 ათასი ლარის ოდენობით.

სასესხო ხელშეკრულება (სტანდარტული სახით) ბანკთან არ გაფორმებულა, მაგრამ დეპარტამენტსა და სს „ლიბერთი ბანკს“ შორის 2012 წლის 30 მაისს გაფორმდა დაცვის მომსახურების ხელშეკრულება N211350928/01/01, რომლის მიხედვითაც შემსრულებელმა (დეპარტამენტმა) აიღო ვალდებულება უზრუნველყო ბანკი ხელშეკრულების დანართებში (N1-N6) მითითებული მომსახურებებით. ხელშეკრულება ძალაშია 64 თვის განმავლობაში და მომსახურების ყოველთვიური საფასური შეადგენს 77.6 ათას ლარს (დღგ-ს ჩათვლით). ბანკმა აიღო ვალდებულება ავანსის სახით ჩაერიცხა დეპარტამენტისთვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის (64 თვის) მომსახურების სრული ღირებულება - 4963.7 ათასი ლარი, რაც განხორციელდა ხელშეკრულების გაფორმების დღესვე (2012 წლის 30 მაისს). ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან ძალადაკარგულად ჩაითვალა მხარეთა შორის გაფორმებული იგივე სახის და მოცულობის მომსახურებებზე გაფორმებული ხელშეკრულებები (N1/6037, 20.12.2011წ. 54.7 ათასი ლარი; N1/36, 06.01.2010წ. 18.8 ათასი ლარი; N1/6075, 21.12.2011წ. 4.8 ათასი ლარი; N1/6337, 31.12.2011წ. 16.0 ათასი ლარი; N1/6338, 31.12.2011წ. 4.8 ათასი ლარი; N1/5077, 27.09.2010წ. 5.9 ათასი ლარი. დაგეგმილი იყო გაზრდა 6.1 ათას ლარამდე; N1/6038, 20.12.2011წ. 7.8 ათასი ლარი; N1/2107, 29.04.2011წ. 70 ლარი; N1/2395, 17.05.2012წ. 70 ლარი), რომელთა ჯამური ღირებულება შეადგენდა 113.1 ათას ლარს (დღგ-ს ჩათვლით).

მომსახურების ახალი ხელშეკრულების გაფორმების და ძველი ხელშეკრულებების გაუქმებით მომსახურების ყოველთვიური მთლიანი ღირებულება შემცირებული იქნა 35.6 ათასი ლარით (მათ შორის დღგ:  $35.6 - 35.6 / 1.18 = 5.4$  ათასი ლარი). 64 თვეზე გაანგარიშებით მომსახურების შემცირებული ღირებულება დღგ-ს ჩათვლით შეადგენს 2276.8 ათას ლარს. ე.ი. დეპარტამენტის საკუთარი შემოსავლები პოტენციურად შემცირებულია ზემოაღნიშნული თანხით. მათ შორის დეპარტამენტის 2012 წლის ფაქტობრივი შემოსავალი შემცირებულია დღგ-ს ჩათვლით 249.0 ათასი ლარით.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნული დოკუმენტი გაფორმდა როგორც „მომსახურების ხელშეკრულება“, ფაქტობრივად ეს შეთანხმება შინაარსობრივად წარმოადგენს გრძელვადიან სასესიო ხელშეკრულებას. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ზემოაღნიშნული ბრძანება, რომლითაც სამინისტრომ დეპარტამენტს უფლება მისცა აეღო სესხი, უნდა გამოცემულიყო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანხმობის საფუძველზე<sup>15</sup>. ფინანსთა სამინისტროს თანხმობა დეპარტამენტის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი.

დეპარტამენტის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი ბიზნეს-გეგმა ან სხვა რაიმე არგუმენტი აღნიშნული სახის ხელშეკრულების გაფორმების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული დეპარტამენტმა 2011 წლის დეკემბერში გორის საფეხბურთო კლუბ „დილას“ სპონსორობის მიზნით გადაურიცხა 181.0 ათასი ლარი. 2012 წლის განმავლობაში რამდენიმე ეტაპად გადაურიცხა 6737.0 ათასი ლარი. სულ გორის „დილას“ ანგარიშზე გადარიცხულია 6918.0 ათასი ლარი. გარდა ამისა შპს „გორის სასათბურე მეურნეობის“ დასაფუძნებლად გაწეულია სულ 3299.0 ათასი ლარის საკასო ხარჯი. ე.ი. წლის განმავლობაში გაწეულია 10 მლნ-ზე მეტი ოდენობის ისეთი ხარჯები, რომლებიც არ წარმოადგენდა აუცილებლობას იმ ამოცანებისა და ფუნქციების განსახორციელებლად, რომელიც დეპარტამენტს კანონმდებლობით აქვს განსაზღვრული. შედეგად დეპარტამენტს წარმოექმნა ფულადი სახსრების დეფიციტი, რის გამოც დეპარტამენტმა სს „ლიბერთი ბანკთან“ გააფორმა ფინანსურად არახელსაყრელი ხელშეკრულება.

ზემოაღნიშნული გარემოებების გამო დეპარტამენტის მიერ მიღებული აღნიშნული გადაწყვეტილებები მიზანშეუწონელია, რადგან პოტენციური შემოსავლები დააკლდა როგორც დეპარტამენტს, ასევე გადასახადების სახით სახელმწიფო ბიუჯეტს.

### **დაცვით-საგანგაშო სიგნალიზაციის საშუალებების შესყიდვა**

2010 წლის იანვარში დეპარტამენტმა გამოაცხადა საერთაშორისო ტენდერი საკუთარი სახსრებით დაცვით-საგანგაშო სიგნალიზაციის საშუალებების შესყიდვაზე. აღნიშნული ტექნიკის სხვადასხვა შემადგენელი ნაწილების შესყიდვა დაიყო სხვადასხვა ლოტებად (სულ 47 ლოტი). ტენდერში მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა პრეტენდენტებმა.

N3 ლოტში (2100 ცალი კვამლის სახანძრო დეტექტორი) მონაწილეობა მიიღო შვიდმა პრეტენდენტმა. იმ პერიოდისთვის მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით განხორციელებული შერჩევის<sup>16</sup> შემდეგ პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი არცერთი სატენდერო წინადადება არ ჩათვლილა მიუღებლად და ყველა წინადადება დაშვებული იქნა შეფასებისთვის (ე.ი. სატენდერო წინადადებები შეესაბამებოდა სატენდერო დოკუმენტაციაში აღნიშნულ ტექნიკურ მოთხოვნებს, ვადებს და სხვა პარამეტრებს). გამარჯვებულმა შპს „ნეოტექმა“ ერთეულის ფასზე წარმოადგინა სატენდერო წინადადება - 67.5 ლარი. უფრო დაბალი ფასის მქონე შპს „ჯი ეს სი“-მ ერთეულის ფასზე წარმოადგინა სატენდერო

<sup>15</sup> საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 23 მარტის N266 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დებულების მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნები.

<sup>16</sup> სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2006 წლის 3 იანვრის N1 ბრძანებით დამტკიცებული სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ დებულების მე-15 მუხლის მოთხოვნა.

წინადადება - 26 ლარი. სატენდერო კომისიის წევრების მიერ სატენდერო წინადადებების ფასების შეფასების დროს ქულების მინიჭება განხორციელდა არაადეკვატურად. კერძოდ, შპს „ჯი ეს სი“-ს მიერ წარმოდგენილი ფასი შეფასდა 9 ქულით, ხოლო შპს „ნეოტექი“-ს მიერ წარმოდგენილი ფასი შეფასდა 7.5 ქულით - ე.ი. 20%-ით ნაკლებად მაშინ, როცა წარმოდგენილ ფასებს შორის თანაფარდობა 260% შეადგენდა (67.5/26). დაუსაბუთებელია აგრეთვე ხარისხობრივ კრიტერიუმზე მინიჭებული ქულების თანაფარდობაც (შპს „ნეოტექი“ - 10 ქულა, შპს „ჯი ეს სი“ - 6 ქულა), მაშინ, როდესაც ხარისხობრივი კრიტერიუმის შეფასების ცხრილში არავითარი შენიშვნა არ არის დაფიქსირებული და შპს „ჯი ეს სი“-ს მინიჭებული აქვს ნიშანი (+), რაც თანდართული შენიშვნის თანახმად ნიშნავს, რომ წინადადება სრულად აკმაყოფილებს ტენდერის მოთხოვნას. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ კომისიის შვიდივე წევრის მიერ პრეტენდენტებზე ქულები ყველა შეფასების კრიტერიუმის მიხედვით მინიჭებულია აბსოლუტურად იდენტურად. მთლიანად ტენდერის 47 ლოტში შეფასებულია 300-ზე მეტი კრიტერიუმი და ყველა შემთხვევაში კომისიის შვიდივე წევრის აზრი ერთმანეთს ემთხვევა (რაც კითხვის ნიშანს ბადებს). შეფასებული კრიტერიუმების (ფასი, ხარისხი და საგარანტიო პერიოდი) კოეფიციენტებზე გადამრავლების და დაჯამების შემდეგ გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ნეოტექი“ სატენდერო წინადადებით 141.7 ათასი ლარი, რომელთანაც გაფორმდა ხელშეკრულება (N01/08/03, 10.03.2010წ.). სატენდერო კომისიის მიერ შეფასების კრიტერიუმებზე ადეკვატური ქულების მინიჭების შემთხვევაში გაიმარჯვებდა შპს „ჯი ეს სი“ სატენდერო წინადადებით 54.6 ათასი ლარი. სხვაობა შეადგენს 87.1 ათას ლარს.

ზუსტად ანალოგიურ ვითარებას აქვს ადგილი N5, N42 და N44 ლოტებთან მიმართებითაც. სატენდერო კომისიის მიერ შეფასების კრიტერიუმებზე არაადეკვატური ქულების მინიჭებით გამარჯვებულად გამოცხადდნენ მაღალი ფასების წარმომდგენი პრეტენდენტები. ამ შემთხვევებშიც კომისიის შვიდივე წევრის მიერ პრეტენდენტებზე ქულები ყველა შეფასების კრიტერიუმის მიხედვით მინიჭებულია აბსოლუტურად იდენტურად. კერძოდ:

N5 ლოტში (3500 ცალი მინის მსხვრევის დეტექტორი) გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ალპა+“ სატენდერო წინადადებით 182.0 ათასი ლარი (ხელშეკრულება N01/08/02, 09.03.2010წ.) მაშინ, როდესაც შპს „ჯი ეს სი“-ს სატენდერო წინადადების ღირებულება შეადგენდა 73.5 ათას ლარს. სხვაობა შეადგენს 108.5 ათას ლარს.

N42 ლოტში (4 არხიანი ვიდეო ჩამწერი) გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ნეოტექი“ სატენდერო წინადადებით 25.3 ათასი ლარი მაშინ, როდესაც შპს „ელ+“-ის სატენდერო წინადადების ღირებულება შეადგენდა 20.7 ათას ლარს. სხვაობა შეადგენს 4.6 ათას ლარს.

N44 ლოტში (16 არხიანი ვიდეო ჩამწერი) გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ნეოტექი“ სატენდერო წინადადებით 34.5 ათასი ლარი მაშინ, როდესაც შპს „ელ+“-ის სატენდერო წინადადების ღირებულება შეადგენდა 28.5 ათას ლარს. სხვაობა შეადგენს 6.0 ათას ლარს.

სულ ზემოაღნიშნული ტენდერის შედეგად გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში არაეკონომიურად გახარჯულია 206.2 ათასი ლარი.

ანალოგიურ ვითარებას ჰქონდა ადგილი 2010 წლის მარტში საკუთარი სახსრებით დაცვით-საგანგაშო სიგნალიზაციის საშუალებების შესყიდვაზე გამოცხადებული ტენდერის მე-2 ლოტში (4250 ცალი მოძრაობის დეტექტორი): ფასების შეფასების დროს ქულების მინიჭება განხორციელდა არაადეკვატურად. კერძოდ, შპს „ჯი ეს სი“-ს მიერ წარმოდგენილი ფასი (16

ლარი) შეფასდა 10 ქულით (როგორც ყველაზე დაბალი), ხოლო შპს „ალპა“-ის მიერ წარმოდგენილი ფასი (34.5 ლარი) შეფასდა 8.5 ქულით - ე.ი. 17%-ით ნაკლებად მაშინ, როცა წარმოდგენილ ფასებს შორის თანაფარდობა 215% შეადგენდა (34.5.5/16). დაუსაბუთებელია აგრეთვე ხარისხობრივ კრიტერიუმზე მინიჭებული ქულების თანაფარდობაც (შპს „ალპა“ - 9 ქულა, შპს „ჯი ეს სი“ - 4 ქულა), მაშინ, როდესაც ხარისხობრივი კრიტერიუმის შეფასების ცხრილში არავითარი შენიშვნა არ არის დაფიქსირებული და შპს „ჯი ეს სი“-ს მინიჭებული აქვს ნიშანი (+), ამ შემთხვევაშიც კომისიის შვიდივე წევრის მიერ პრეტენდენტებზე ქულები ყველა შეფასების კრიტერიუმის მიხედვით მინიჭებულია აბსოლუტურად ერთნაირად. შედეგად გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ალპა“ სატენდერო წინადადებით 146.6 ათასი ლარი (ხელშეკრულება N01/14/02, 19.04.2010წ.) მაშინ, როდესაც შპს „ჯი ეს სი“-ს სატენდერო წინადადების ღირებულება შეადგენდა 68.0 ათას ლარს. არაეკონომიურად გახარჯულია 78.6 ათასი ლარი.

ანალოგიურად, 2010 წლის ოქტომბერში საკუთარი სახსრებით დაცვით-საგანგაშო სიგნალიზაციის საშუალებების შესყიდვაზე გამოცხადებული ტენდერის მე-5 ლოტში (100 ცალი მოძრავი სატრანსპორტო საშუალებების კონტროლის მოწყობილობა) გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „კასა ტრედი“ სატენდერო წინადადებით 106.0 ათასი ლარი (ხელშეკრულება N01/37/03, 03.12.2010წ.) მაშინ, როდესაც შპს „მანტა სისტემის“-ის სატენდერო წინადადების ღირებულება შეადგენდა 89.8 ათას ლარს. სხვაობა შეადგენს 16.2 ათას ლარს.

### **პოლიციელთა უნიფორმის შესყიდვა**

2010 წლის იანვარში დეპარტამენტმა გამოაცხადა საერთაშორისო ტენდერი საკუთარი სახსრებით პოლიციელთა უნიფორმის შესყიდვაზე. აღნიშნული უნიფორმის სხვადასხვა შემადგენელი კომპონენტების შესყიდვა დაიყო სხვადასხვა ლოტებად (სულ 37 ლოტი). ტენდერში მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა პრეტენდენტებმა. სატენდერო დოკუმენტაციით განისაზღვრა შეფასების შემდეგი კრიტერიუმები და მათი კოეფიციენტები: სატენდერო წინადადების ღირებულება (კოეფიციენტი - 0.4), საქონლის ხარისხობრივი პარამეტრები (კოეფიციენტი - 0.3) და ანგარიშსწორების ფორმები და პირობები (კოეფიციენტი - 0.3). ზემოაღნიშნული შინაარსის შემცველი სატენდერო დოკუმენტაცია კანონმდებლობის შესაბამისად გადაეცათ პრეტენდენტებს. მიუხედავად ამისა სატენდერო კომისიამ სატენდერო წინადადებების შეფასების დროს გამოიყენა არა სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული, არამედ შეცვლილი კოეფიციენტები. კერძოდ, სატენდერო წინადადების ღირებულება - კოეფიციენტი 0.4, საქონლის ხარისხობრივი პარამეტრები - კოეფიციენტი 0.4 და ანგარიშსწორების ფორმები და პირობები - კოეფიციენტი 0.2. სატენდერო კომისიის მიერ დარღვეულია კანონმდებლობის მოთხოვნა<sup>17</sup>, რომლის მიხედვითაც სატენდერო კომისიის მიერ სატენდერო დოკუმენტაციაში ცვლილებების შეტანის გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ეს უნდა გაფორმდეს „სატენდერო დოკუმენტაციის დამატების“ სახით და გაეგზავნოს ყველა პრეტენდენტს. სატენდერო კომისიას ეს არ გაუკეთებია. ზემოაღნიშნული ტენდერის მსგავსად კომისიის შვიდივე წევრის მიერ პრეტენდენტებზე ქულები ყველა

<sup>17</sup> სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2006 წლის 3 იანვრის N1 ბრძანებით დამტკიცებული სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ დებულების დანართი N1-ის მე-6 პუნქტის მოთხოვნა.

შეფასების კრიტერიუმის მიხედვით მინიჭებულია აბსოლუტურად იდენტურად. ამასთან ერთად დაუსაბუთებელია კრიტერიუმებზე მინიჭებულ ქულებს შორის თანაფარდობა.

შეცვლილი კოეფიციენტებით განხორციელებული შეფასებების შედეგად რიგ ლოტებში გამარჯვებულად გამოცხადდა უფრო მაღალი ფასების წარმომდგენი შპს „სატახა“, რომელთანაც გაფორმდა ერთიანი ხელშეკრულება (N01/01/07, 02.03.2010წ.). სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული კოეფიციენტებით შეფასებების შემთხვევაში გაიმარჯვებდნენ უფრო დაბალი ფასების მქონე პრეტენდენტები, რითაც დაიზოგებოდა დეპარტამენტის საკუთარი სახსრები. კერძოდ:

N1 ლოტში (3000 ცალი მოკლესახელოიანი პერანგი) გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „სატახა“ სატენდერო წინადადებით 40.5 ათასი ლარი მაშინ, როდესაც შპს „ლემასის“ სატენდერო წინადადების ღირებულება შეადგენდა 33.0 ათას ლარს. სხვაობა შეადგენს 7.5 ათას ლარს.

N2 ლოტში (5000 ცალი გრძელსახელოიანი პერანგი) გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „სატახა“ სატენდერო წინადადებით 69.0 ათასი ლარი მაშინ, როდესაც შპს „ლემასის“ სატენდერო წინადადების ღირებულება შეადგენდა 60.0 ათას ლარს. სხვაობა შეადგენს 9.0 ათას ლარს.

N3 ლოტში (12000 ცალი საზაფხულო მაისური) გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „სატახა“ სატენდერო წინადადებით 114.0 ათასი ლარი მაშინ, როდესაც შპს „ლემასის“ სატენდერო წინადადების ღირებულება შეადგენდა 102.0 ათას ლარს. სხვაობა შეადგენს 12.0 ათას ლარს.

N5 ლოტში (11000 ცალი ზამთრის შარვალი) გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „სატახა“ სატენდერო წინადადებით 231.0 ათასი ლარი მაშინ, როდესაც შპს „ესელი და კომპანიის“ სატენდერო წინადადების ღირებულება შეადგენდა 220.0 ათას ლარს. სხვაობა შეადგენს 11.0 ათას ლარს.

N12 ლოტში (8300 ცალი ზამთრის კეპი) გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „სატახა“ სატენდერო წინადადებით 91.3 ათასი ლარი მაშინ, როდესაც შპს „მილერი და კომპანიის“ სატენდერო წინადადების ღირებულება შეადგენდა 83.0 ათას ლარს. სხვაობა შეადგენს 8.3 ათას ლარს.

N15 ლოტში (12000 წყვილი შევრონი) გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „სატახა“ სატენდერო წინადადებით 33.6 ათასი ლარი მაშინ, როდესაც შპს „ნიტექსის“ სატენდერო წინადადების ღირებულება შეადგენდა 30.0 ათას ლარს. სხვაობა შეადგენს 3.6 ათას ლარს.

N16 ლოტში (700 კომპლექტი ზაფხულის სპეცფორმის ტანსაცმელი) გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „სატახა“ სატენდერო წინადადებით 37.8 ათასი ლარი მაშინ, როდესაც შპს „ელსელემას“ სატენდერო წინადადების ღირებულება შეადგენდა 35.0 ათას ლარს. სხვაობა შეადგენს 2.8 ათას ლარს.

N17 ლოტში (700 კომპლექტი ზამთრის სპეცფორმის ტანსაცმელი) გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „სატახა“ სატენდერო წინადადებით 42.0 ათასი ლარი მაშინ, როდესაც შპს „მილერი და კომპანიის“ სატენდერო წინადადების ღირებულება შეადგენდა 37.8 ათას ლარს. სხვაობა შეადგენს 4.2 ათას ლარს.

N20 ლოტში (1500 კომპლექტი სპეცფორმის ტანსაცმელი კომუფლირებული) გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „სატახა“ სატენდერო წინადადებით 78.0 ათასი ლარი მაშინ, როდესაც შპს „ელსელემას“ სატენდერო წინადადების ღირებულება შეადგენდა 73.5 ათას ლარს. სხვაობა შეადგენს 4.5 ათას ლარს.

N21 ლოტში (1500 წყვილი მაღალყელიანი ჩექმა) გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „სატახა“ სატენდერო წინადადებით 82.5 ათასი ლარი მაშინ, როდესაც შპს „ვაკოს“ სატენდერო წინადადების ღირებულება შეადგენდა 81.0 ათას ლარს. სხვაობა შეადგენს 1.5 ათას ლარს.

გარდა ზემოაღნიშნულისა N7 ლოტში (11300 წყვილი დაბალყელიანი ფეხსაცმელი) გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ვაკო“ სატენდერო წინადადებით 471.2 ათასი ლარი (ხელშეკრულება N01/01/01, 27.02.2010წ.) მაშინ, როდესაც შპს „ემ ერ ესის“ სატენდერო წინადადების ღირებულება შეადგენდა 452.0 ათას ლარს. სხვაობა შეადგენს 19.2 ათას ლარს. ხოლო N11 ლოტში (8300 ცალი ზაფხულის კეპი) გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „მეგაგარანტი“ სატენდერო წინადადებით 49.8 ათასი ლარი (ხელშეკრულება N01/01/05, 01/03.2010წ.) მაშინ, როდესაც შპს „ლემასის“ სატენდერო წინადადების ღირებულება შეადგენდა 39.8 ათას ლარს. სხვაობა შეადგენს 10.0 ათას ლარს.

სულ ზემოაღნიშნული ტენდერის შედეგად გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში არაეკონომიურად გახარჯულია 93.6 ათასი ლარი.

ანალოგიურ ვითარებას ჰქონდა ადგილი 2010 წლის იანვარში საბიუჯეტო სახსრებით პოლიციელთა უნიფორმის შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერში (სულ 28 ლოტი): კომისიის შვიდივე წევრის მიერ პრეტენდენტებზე ქულები ყველა შეფასების კრიტერიუმის მიხედვით მინიჭებულია აბსოლუტურად იდენტურად. კრიტერიუმების შეფასება განხორციელდა არა სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული კოეფიციენტებით (ღირებულება-0.4, ხარისხობრივი პარამეტრები-0.3, ანგარიშსწორების ფორმები-0.3), არამედ განსხვავებული (შესაბამისად 0.4, 0.4, 0.2) კოეფიციენტებით. რის შედეგადაც ზოგიერთ ლოტში გაიმარჯვეს უფრო მაღალი ფასის მქონე პრეტენდენტებმა. კერძოდ:

N1 ლოტში (1500 ცალი მოკლესახელოიანი პერანგი) გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „სატახა“ სატენდერო წინადადებით 20.2 ათასი ლარი (ხელშეკრულება N801/01/05, 02/03.2010წ.) მაშინ, როდესაც შპს „ლემასის“ სატენდერო წინადადების ღირებულება შეადგენდა 17.7 ათას ლარს. სხვაობა შეადგენს 2.5 ათას ლარს.

N2 ლოტში (1800 ცალი გრძელსახელოიანი პერანგი) გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „სატახა“ სატენდერო წინადადებით 24.8 ათასი ლარი მაშინ, როდესაც შპს „ლემასის“ სატენდერო წინადადების ღირებულება შეადგენდა 22.5 ათას ლარს. სხვაობა შეადგენს 2.3 ათას ლარს.

N4 ლოტში (1500 ცალი საზაფხულო მაისური) გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „სატახა“ სატენდერო წინადადებით 14.3 ათასი ლარი მაშინ, როდესაც შპს „მილერი და კომპანიის“ სატენდერო წინადადების ღირებულება შეადგენდა 12.0 ათას ლარს. სხვაობა შეადგენს 2.3 ათას ლარს.

N8 ლოტში (1300 წყვილი დაბალყელიანი ფეხსაცმელი) გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ვაკო“ სატენდერო წინადადებით 53.9 ათასი ლარი (ხელშეკრულება N801/01/01, 27/02.2010წ.).

მაშინ, როდესაც შპს „ისტ-ვესტ ტრედიინგის“ სატენდერო წინადადების ღირებულება შეადგენდა 51.3 ათას ლარს. სხვაობა შეადგენს 2.6 ათას ლარს.

N9 ლოტში (600 ცალი პულოვერი) გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „მეგაგარანტი“ სატენდერო წინადადებით 14.1 ათასი ლარი (ხელშეკრულება №01/01/03, 01/03.2010წ.) მაშინ, როდესაც შპს „ისტ-ვესტ ტრედიინგის“ სატენდერო წინადადების ღირებულება შეადგენდა 13.5 ათას ლარს. სხვაობა შეადგენს 0.6 ათას ლარს.

N12 ლოტში (1500 ცალი ზაფხულის კეპი) გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „მეგაგარანტი“ სატენდერო წინადადებით 8.3 ათასი ლარი მაშინ, როდესაც შპს „ლემასის“ სატენდერო წინადადების ღირებულება შეადგენდა 7.2 ათას ლარს. სხვაობა შეადგენს 1.1 ათას ლარს.

სულ ზემოაღნიშნული ტენდერის შედეგად გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში არაეკონომიურად გახარჯულია 11.4 ათასი ლარი.

### **ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილებაში არსებული კანონდარღვევები**

დეპარტამენტის დაფინანსების ძირითადი წყაროა გაწეული მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები, მაგრამ ცალკეული ქვედანაყოფები (ეროვნული საგანძურის დაცვის სამმართველო, დიპლომატიური წარმომადგენლობების დაცვის სამმართველო და სწრაფი რეაგირების დაცვის სამმართველო) ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. 2012 წლის ბიუჯეტის კანონით დეპარტამენტს პროგრამით „ეროვნული საგანძურისა და დიპლომატიური წარმომადგენლობების დაცვის უსაფრთხოების დონის ამაღლება“ (პროგრამული კოდი 30 02) დაუმტკიცდა წლიური ასიგნება 11948.2 ათასი ლარის ოდენობით. წლის განმავლობაში სამინისტროში გაგზავნილი მოთხოვნების საფუძველზე პროგრამიდან „საზოგადოებრივი წესრიგისა და საზღვრის დაცვა“ (კოდი 30 01) განხორციელდა ასიგნებების გადანაწილება ზემოაღნიშნულ პროგრამაზე (30 02). შედეგად დეპარტამენტის ბიუჯეტი გაიზარდა 4115.0 ათასი ლარით და წლიურმა დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 16063.2 ათასი ლარი. ასიგნებების გადანაწილება რიგ შემთხვევებში განხორციელდა დაუსაბუთებლად<sup>18</sup>. კერძოდ:

დეპარტამენტის 2012 წლის 10 თებერვლის N181826 წერილით შს სამინისტროსგან მოითხოვა არაფინანსური აქტივების მუხლის გაზრდა 500.0 ათასი ლარით ვიდეოსამეთვალყურეო კამერებისა და ჩამწერების შესაძენად. ფინანსთა სამინისტროს ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობით (N133, 21.02.2012წ.) დეპარტამენტს გაეზარდა ასიგნება ზემოაღნიშნული თანხით. ანალოგიური მოთხოვნებით დეპარტამენტს რამდენჯერმე კვლავ გაეზარდა ასიგნებები:

-წერილი N333948, 14.03.2012წ. ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა N268, 20.03.2012წ. -700.0 ათასი ლარი, სატრანსპორტო საშუალებების შესაძენად.

<sup>18</sup> საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 30 დეკემბრის N637 ბრძანებით დამტკიცებული სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის თანხების გადანაწილების წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა.

-წერილი N434187, 04.04.2012წ. ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა N379, 10.04.2012წ.-500.0 ათასი ლარი, სატრანსპორტო საშუალებების შესაძენად.

-წერილი N605398, 11.05.2012წ. ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა N533, 21.05.2012წ.-500.0 ათასი ლარი, შენობის კაპიტალური რემონტის და ვიდუო კამერების შესაძენად.

-წერილი N699242, 31.05.2012წ. ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა N598, 05.06.2012წ.-700.0 ათასი ლარი, უნიფორმის შესაძენად.

-წერილი N853146, 29.06.2012წ. ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა N732, 29.06.2012წ.-1000.0 ათასი ლარი, უნიფორმის და სპეცტექნიკის შესაძენად.

-წერილი N01766060, 25.12.2012წ. ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა N1453, 27.12.2012წ.-215.0 ათასი ლარი, საახალწლო პრემიების გასაცემად.

პასუხისმგებელი პირების განმარტებით გაირკვა, რომ ასიგნებათა ზემოაღნიშნული გადანაწილებების შედეგად საბიუჯეტო სახსრებით შესყიდული არაფინანსური აქტივების და მატერიალური მარაგების მნიშვნელოვანი ნაწილი (სპეცტექნიკა) საბიუჯეტო სამმართველოებისთვის ნაკლებად გამოყენებადია. მათი გამოყენება ძირითადად შესაძლებელია არასაბიუჯეტო სამმართველოების მიერ კერძო შეკვეთებით განსახორციელებელი მომსახურებების გასაწევად. აღნიშნული სპეცტექნიკა (ვიდეო კამერები, დაცვით-საგანგაშო და სხვა საშუალებები) 2012 წლის ბოლოს დიდი ოდენობით ნაშთის სახით ირიცხებოდა დეპარტამენტის საწყობში. ასევე კანონით საბიუჯეტო დანაყოფებისთვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრებით შეძენილი არაფინანსური აქტივების და მატერიალური მარაგების მნიშვნელოვანი ნაწილი (სატრანსპორტო საშუალებები, უნიფორმა, სპეცტექნიკა) ექსპლუატაციაში გადაცემულია არასაბიუჯეტო დანაყოფებზე (დეტალური ანალიზი განხილულია ქვემოთ).

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული 2012 წლის განმავლობაში დეპარტამენტის მიერ მიღებული არასაბიუჯეტო შემოსავლებიდან 10.0 მლნ ლარზე მეტი გაიხარჯა შპს „გორის სასათბურე მეურნეობის“ დასაფუძნებლად და საფეხბურთო კლუბ „გორის დილას“ დასაფინანსებლად, რამაც საკუთარი შემოსავლებიდან მიღებული ფულადი სახსრების სერიოზული დეფიციტი წარმოქმნა. დეპარტამენტს აღარ ჰყოფნიდა ფულადი სახსრები არასაბიუჯეტო დანაყოფების მიერ თავისი ფუნქციების განხორციელების დასაფინანსებლად. საკუთარი სახსრების დეფიციტის შესავსებად დეპარტამენტის მიერ გამოყენებული იყო მეორე გზაც (გარდა სს „ლიბერთი ბანკთან“ გაფორმებული ზემოაღნიშნული ხელშეკრულებისა). კერძოდ, წარმოებდა საბიუჯეტო სახსრების ხარჯზე არასაბიუჯეტო დანაყოფების დაფინანსება. შპს „გორის სასათბურე მეურნეობის“ დასაფუძნებლად და საფეხბურთო კლუბ „გორის დილას“ დასაფინანსებლად ფინანსური სახსრების მიმართვასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება ამ მხრივაც გაუმართლებელია. აქედან გამომდინარე საბიუჯეტო ასიგნებების გაზრდა, რაც არაპირდაპირი გზით არასაბიუჯეტო დანაყოფების დასაფინანსებლად იყო გამიზნული (და რასაც ფაქტობრივად ჰქონდა ადგილი) ეწინააღმდეგება კანონმდებლობის მოთხოვნას<sup>19</sup>.

<sup>19</sup> საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის 2.2 ქვეპუნქტით განსაზღვრული პროგრამის პრიორიტეტები.

გარდა ამისა 2012 წლის განმავლობაში განხორციელებულია ასიგნებათა შიდა მუხლობრივი დაუსაბუთებელი გადანაწილებაც. კერძოდ, დეპარტამენტმა 2012 წლის N01327276 წერილით მოითხოვა შრომის ანაზღაურების მუხლიდან ასიგნების გადანაწილება საქონელი და მომსახურების მუხლში 900.0 ათასი ლარის ოდენობით (საწვავის შესაძენად). არგუმენტად მოტანილია შრომის ანაზღაურების მუხლში არსებული ეკონომია. როგორც აღმოჩნდა, აღნიშნული ოდენობის ეკონომია შრომის ანაზღაურების მუხლში არ არსებობდა, რადგან დეკემბერში (როგორც ზემოთ არის აღნიშნული) საჭირო გახდა სამინისტროსგან მოეთხოვათ ასიგნების გადანაწილება შრომის ანაზღაურების მუხლის გაზრდაზე.

### **მარაგების და არაფინანსური აქტივების ბრუნვაში არსებული დარღვევები**

დეპარტამენტის მიერ მარაგებისა და არაფინანსური აქტივების შეძენის და გამოყენების ანალიზით გაირკვა, რომ ხშირ შემთხვევებში შესყიდვები წარმოებდა არასწორი დაგეგმვების საფუძველზე. კერძოდ, მარაგების და არაფინანსური აქტივების შეძენა ხდებოდა ბევრად მეტი ოდენობით, ვიდრე საჭირო იყო. საბიუჯეტო სახსრებით შეძენილი აქტივები გამოიყენებოდა არასაბიუჯეტო სექტორში. აგრეთვე დაუსაბუთებლად ხდებოდა სამინისტროს ცენტრალური აპარატიდან მარაგების გადმოცემა. კერძოდ:

საწვავის შეძენის და ხარჯვის ანალიზით გაირკვა, რომ საბიუჯეტო დანაყოფების მიერ ბოლო სამი წლის განმავლობაში წლიურად გამოყენებული საწვავის თანხობრივი ოდენობა არ აღემატებოდა 220.0 ათას ლარს. 2012 წლის განმავლობაში საბიუჯეტო სახსრებით შეძენილია 1363.0 ათასი ლარის ღირებულების საწვავი, ანუ საჭირო ოდენობაზე დაახლოებით 6-ჯერ მეტი. ამასთან დეპარტამენტს წლის დასაწყისში ნაშთის სახით ერიცხებოდა 71.0 ათასი ლარის საწვავი, რაც საბიუჯეტო დანაყოფებისთვის დაახლოებით 4 თვის მარაგს შეადგენდა. წლის ბოლოს ნაშთის სახით რიცხულმა საწვავის ნაშთმა შეადგინა 1214.5 ათასი ლარი, რაც საბიუჯეტო დანაყოფებისთვის 5-6 წლის მარაგს შეადგენს.

გარდა ზემოაღნიშნულისა დეპარტამენტს 2012 წლის დასაწყისში ნაშთად ერიცხებოდა საკუთარი შემოსავლებიდან არასაბიუჯეტო სექტორისთვის შეძენილი საწვავი 413.7 ათასი ლარის ღირებულებით (დღგ-ს ჩათვლით). წლის განმავლობაში შეძენილია 2238.9 ათასი ლარის საწვავი. გახარჯულია 2625.1 ათასი ლარის საწვავი. წლის ბოლოს საწვავის ნაშთმა შეადგინა 27.5 ათასი ლარი. გარდა ამისა სამინისტროს აპარატის მიერ გადმოცემულია საბიუჯეტო სახსრებით შეძენილი 1004.0 ათასი ლარის საწვავი, რომელიც დეპარტამენტის მიერ გამოყენებულია არასაბიუჯეტო დანაყოფებისთვის - გახარჯულია 508.7 ათასი ლარის და წლის ბოლოს ნაშთად ირიცხება 495.3 ათასი ლარის. ის გარემოება რომ სამინისტროდან გადმოცემული საწვავის ნახევარი გამოუყენებელია მიუთითებს, რომ არ არსებობდა ამ რაოდენობის საწვავის გადმოცემის აუცილებლობა. ამასთან ერთად სამინისტროს მიერ საბიუჯეტო სახსრებით შეძენილი და გადმოცემული საწვავის დეპარტამენტის მიერ არასაბიუჯეტო სექტორში გამოყენების გადაწყვეტილება წარმოადგენს საბიუჯეტო სახსრების ხარჯზე არასაბიუჯეტო დანაყოფების დაფინანსების ფაქტს, რასაც როგორც ზემოთ იყო აღნიშნული არ ითვალისწინებდა 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონი.

ანალოგიურ სიტუაციას აქვს ადგილი საბიუჯეტო სახსრებით საბიუჯეტო დანაყოფებისთვის სპეცტექნიკის (დაცვით-საგანგაშო სიგნალიზაციის საშუალებები და სხვა) შეძენასთან დაკავშირებითაც. 2012 წლის დასაწყისში ნაშთის სახით ირიცხებოდა 0.4 ათასი ლარის სპეცტექნიკა. წლის განმავლობაში შეძენილი იქნა 1464.7 ათასი ლარის სპეცტექნიკა მაშინ, როცა წლიური მოთხოვნა არ აღემატებოდა 138.0 ათას ლარს. საბიუჯეტო სექტორში გახარჯულია 137.7 ათასი ლარის, არასაბიუჯეტო სექტორზე გადაცემულია 314.7 ათასი ლარის (ზემოაღნიშნულის მსგავსად კანონდარღვევით). წლის ბოლოს ნაშთად ირიცხებოდა საბიუჯეტო სახსრებით შეძენილი 1012.7 ათასი ლარის სპეცტექნიკა, რომელიც დეპარტამენტის პასუხისმგებელი პირების განმარტებით, საბიუჯეტო ქვედანაყოფების მიერ ნაკლებად გამოსაყენებელია.

რაც შეეხება საბიუჯეტო სახსრებით სატრანსპორტო საშუალებების შეძენას, 2012 წლის განმავლობაში საბიუჯეტო სახსრებით შეძენილია 1253.9 ათასი ლარის 32 ერთეული ავტომანქანა. არასაბიუჯეტო დანაყოფებზე ექსპლუატაციაში გადაცემულია 1171.0 ათასი ლარის 28 ერთეული ავტომანქანა. აღნიშნული ფაქტი მიუთითებს, რომ არ არსებობდა საბიუჯეტო სახსრებით ავტომანქანების შეძენის საჭიროება, რადგან საბიუჯეტო დანაყოფებს დამატებითი ავტომანქანები არ სჭირდებოდა. აღნიშნულ შემთხვევაშიც ადგილი აქვს საბიუჯეტო სახსრების ხარჯზე დეპარტამენტის არასაბიუჯეტო დანაყოფების დაფინანსების ფაქტს, რაც როგორც ზემოთ იყო აღნიშნული ეწინააღმდეგება 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებს.

ანალოგიურ სიტუაციას აქვს ადგილი საბიუჯეტო სახსრებით უნიფორმის შეძენასთან დაკავშირებითაც. 2012 წლის დასაწყისში ნაშთად ირიცხებოდა 43.9 ათასი ლარის უნიფორმა. წლის განმავლობაში შეძენილია 1074.6 ათასი ლარის უნიფორმა მაშინ, როცა ამდენის შეძენის საჭიროება არ არსებობდა (რადგან საბიუჯეტო დანაყოფებზე გადაცემულია მხოლოდ 370.4 ათასი ლარის უნიფორმა). ზემოაღნიშნული სახის დარღვევით არასაბიუჯეტო დანაყოფებზე გადაცემულია 445.4 ათასი ლარის უნიფორმა. წლის ბოლოს ნაშთად ირიცხებოდა 302.7 ათასი ლარის უნიფორმა. გარდა ამისა 2012 წლის განმავლობაში სამინისტრომ დეპარტამენტს გადასცა საბიუჯეტო სახსრებით შეძენილი უნიფორმა ღირებულებით 303.6 ათასი ლარი, ხოლო შსს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტმა გადასცა ასევე საბიუჯეტო სახსრებით შეძენილი 18.9 ათასი ლარის უნიფორმა. აღნიშნული უნიფორმები გამოყენებულია არასაბიუჯეტო დანაყოფების მიერ. აღნიშნულ შემთხვევაშიც ადგილი აქვს საბიუჯეტო სახსრების ხარჯზე დეპარტამენტის არასაბიუჯეტო დანაყოფების დაფინანსების ფაქტს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ადგილი აქვს ფაქტობრივ სიტუაციას, რომ დეპარტამენტს გააჩნია საბიუჯეტო სახსრებით შეძენილი იმ რაოდენობის მატერიალური მარაგები, რამდენიც საბიუჯეტო ქვედანაყოფებს არ სჭირდება. საბრუნავი სახსრების ეფექტურად მართვის მიზნით მიზანშეწონილი იქნება საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით აღნიშნული მარაგები გამოყენებული იქნას არასაბიუჯეტო ქვედანაყოფების მიერ.

## ავტომანქანების ჩანაცვლებაში არსებული დარღვევები

2010 წლის განმავლობაში დეპარტამენტს ავტომანქანების ჩანაცვლებაზე გამართივებული შესყიდვის საშუალების გამოყენებით გაფორმებული აქვს ექვსი ხელშეკრულება. ყველა შემთხვევაში ჩანაცვლებას ფორმალური ხასიათი ჰქონდა, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ ჯამურად მცირე ღირებულების ავტომანქანები ჩანაცვლებულია მრავალჯერ მეტი ჯამური ღირებულების ახალ ავტომანქანებზე. კერძოდ:

შპს „ქარ რენტ ენდ თრეიდინგ კომპანისთან“ გაფორმებული 2010 წლის 21 აპრილის N05/01/01 ხელშეკრულების მიხედვით კომპანიამ მიაწოდა დეპარტამენტს 51 ერთეული ახალი ავტომანქანა ღირებულებით 1722.9 ათასი ლარი, ხოლო დეპარტამენტმა კომპანიას გადასცა 112 ერთეული ავტომანქანა ღირებულებით 41.7 ათასი ლარი (მოწოდებული ავტომანქანების ღირებულების 2.4%). ფასთა სხვაობის შესავსებად დეპარტამენტმა გადაუხადა თანხა 1681.2 ათასი ლარის ოდენობით (ღირებულების 97.6%). ფასთა ასეთი თანაფარდობით „ჩანაცვლების“ განხორციელება ფაქტობრივად წარმოადგენდა ტენდერის გარეშე შესყიდვის განხორციელებას, რითაც უგულებელყოფილია სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის მიზანი<sup>20</sup> - სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა. აღნიშნული ავტომანქანების ტენდერის საშუალებით შესყიდვის შემთხვევაში ძალიან დიდი ალბათობით ტენდერის მსვლელობისას ფასის კლება იქნებოდა ბევრად უფრო მეტი, ვიდრე ჩასანაცვლებელი ავტომანქანების ღირებულება (41.7 ათასი ლარი), რითაც დაიზოგებოდა დეპარტამენტის საკუთარი შემოსავლებიდან მიღებული ფულადი სახსრები.

ანალოგიურ ვითარებას აქვს ადგილი 2010 წელს გაფორმებული დანარჩენი ხუთი ხელშეკრულების შემთხვევაშიც:

შპს „უზავტოსთან“ გაფორმებული 2010 წლის 6 სექტემბრის N05/01/02 ხელშეკრულების მიხედვით კომპანიამ მიაწოდა დეპარტამენტს 10 ერთეული ახალი ავტომანქანა ღირებულებით 107.3 ათასი ლარი, ხოლო დეპარტამენტმა კომპანიას გადასცა 17 ერთეული ავტომანქანა ღირებულებით 17.3 ათასი ლარი (მოწოდებული ავტომანქანების ღირებულების 16.1%). ფასთა სხვაობის შესავსებად დეპარტამენტმა გადაუხადა თანხა 90.0 ათასი ლარის ოდენობით (ღირებულების 83.9%).

შპს „უზავტოსთან“ გაფორმებული 2010 წლის 28 სექტემბრის N05/01/03 ხელშეკრულების მიხედვით კომპანიამ მიაწოდა დეპარტამენტს ერთი ერთეული ახალი ავტომანქანა ღირებულებით 12.4 ათასი ლარი, ხოლო დეპარტამენტმა კომპანიას გადასცა ერთი ერთეული ავტომანქანა ღირებულებით 1.5 ათასი ლარი (მოწოდებული ავტომანქანის ღირებულების 12.1%). ფასთა სხვაობის შესავსებად დეპარტამენტმა გადაუხადა თანხა 10.9 ათასი ლარის ოდენობით (ღირებულების 87.9%).

შპს „მათემობილთან“ გაფორმებული 2010 წლის 22 ოქტომბრის N05/01/04 ხელშეკრულების მიხედვით კომპანიამ მიაწოდა დეპარტამენტს ერთი ერთეული ახალი ავტომანქანა ღირებულებით 69.0 ათასი ლარი, ხოლო დეპარტამენტმა კომპანიას გადასცა ერთი ერთეული ავტომანქანა ღირებულებით 1.5 ათასი ლარი (მოწოდებული ავტომანქანის ღირებულების

<sup>20</sup> სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ პუნქტით განსაზღვრული.

2.2%). ფასთა სხვაობის შესავსებად დეპარტამენტმა გადაუხადა თანხა 67.5 ათასი ლარის ოდენობით (ღირებულების 97.8%).

შპს „ქარ რენტ ენდ თრეიდინგ კომპანისთან“ გაფორმებული 2010 წლის 25 ოქტომბრის N05/01/05 ხელშეკრულების მიხედვით კომპანიამ მიაწოდა დეპარტამენტს 19 ერთეული ახალი ავტომანქანა ღირებულებით 1025.1 ათასი ლარი, ხოლო დეპარტამენტმა კომპანიას გადასცა 8 ერთეული ავტომანქანა ღირებულებით 24.6 ათასი ლარი (მოწოდებული ავტომანქანების ღირებულების 2.4%). ფასთა სხვაობის შესავსებად დეპარტამენტმა გადაუხადა თანხა 1000.5 ათასი ლარის ოდენობით (ღირებულების 97.6%).

შპს „ქარ რენტ ენდ თრეიდინგ კომპანისთან“ გაფორმებული 2010 წლის 20 დეკემბრის N05/01/06 ხელშეკრულების მიხედვით კომპანიამ მიაწოდა დეპარტამენტს ერთი ერთეული ახალი ავტომანქანა ღირებულებით 123.5 ათასი ლარი, ხოლო დეპარტამენტმა კომპანიას გადასცა 4 ერთეული ავტომანქანა ღირებულებით 39.7 ათასი ლარი (მოწოდებული ავტომანქანის ღირებულების 32.1%). ფასთა სხვაობის შესავსებად დეპარტამენტმა გადაუხადა თანხა 83.8 ათასი ლარის ოდენობით (ღირებულების 67.9%).

დეპარტამენტის მიერ შპს „ქარ რენტ ენდ თრეიდინგ კომპანისთან“ 2012 წელსაც გაფორმდა ხელშეკრულებები, რომლის მიხედვითაც ანალოგიურად ადგილი აქვს ავტომანქანების ფორმალურ ჩანაცვლებას. კერძოდ, 24 თებერვლის N03/341/57 ხელშეკრულების მიხედვით კომპანიამ მიაწოდა დეპარტამენტს სამი ერთეული ავტომანქანა ღირებულებით 64.5 ათასი ლარი, ხოლო დეპარტამენტმა კომპანიას გადასცა ერთი ერთეული ავტომანქანა ღირებულებით 0.8 ათასი ლარი (მოწოდებული ავტომანქანების ღირებულების 1.2%). ფასთა სხვაობის შესავსებად დეპარტამენტმა გადაუხადა თანხა 63.7 ათასი ლარის ოდენობით (ღირებულების 98.8%). ასევე 29 თებერვლის N03/341/61 ხელშეკრულების მიხედვით კომპანიამ მიაწოდა დეპარტამენტს ერთი ერთეული ავტომანქანა ღირებულებით 78.8 ათასი ლარი, ხოლო დეპარტამენტმა კომპანიას გადასცა ერთი ერთეული ავტომანქანა ღირებულებით 0.9 ათასი ლარი (მოწოდებული ავტომანქანების ღირებულების 1.1%). ფასთა სხვაობის შესავსებად დეპარტამენტმა გადაუხადა თანხა 77.9 ათასი ლარის ოდენობით (ღირებულების 98.9%).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე აღნიშნული შესყიდვების ტენდერების გარეშე განხორციელების გამო ადგილი აქვს დეპარტამენტის საკუთარი სახსრების არაეკონომიურ ხარჯვას.

გარდა იმისა, რომ შესყიდვების ტენდერების საშუალებით განხორციელებისას სავარაუდოდ შესაძლებელი იყო მიღებულიყო ფულადი სახსრების ეკონომია, გაირკვა, რომ დეპარტამენტს აღნიშნული ოპერაციებით მიღებული აქვს ფაქტობრივი ზარალიც. კერძოდ, 2010 წლის 21 აპრილის N05/01/01 ხელშეკრულების და შპს „ქარ რენტ ენდ თრეიდინგ კომპანის“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით დადგინდა, რომ ჩანაცვლებული 112 ერთეული სატრანსპორტო საშუალებიდან 61 ერთეული ექსპერტიზის მიერ (შპს „ინტელექტ-აუდიტი, ს/კ 200270250) შეფასებული იქნა როგორც გამოსაყენებლად მიზანშეუწონელი და შეფასდა „სალიკვიდაციო ღირებულებით“ ჯამურად 3.1 ათასი ლარი (თითოეული ერთეული 20 - 70 ლარის ფარგლებში). როგორც გაირკვა შპს „ქარ რენტ ენდ თრეიდინგ კომპანის“ აღნიშნული 61 სატრანსპორტო საშუალება ჩაბარებული აქვს ჯართში (ერთი ტონა 354 ლარად), რის შედეგადაც მიიღო შემოსავალი 16.6 ათასი ლარის ოდენობით.

აღნიშნული გადაწყვეტილების შედეგად მიღებულმა ზარალმა შეადგინა 13.5 ათასი ლარი (აღნიშნული სატრანსპორტო საშუალებების პირდაპირი გზით ჯართში ჩაბარების შემთხვევაში შემოსავალი იქნებოდა 16.6 ათასი ლარი). აქედან გამომდინარე ექვს იწვევს დანარჩენი 51 ერთეული სატრანსპორტო საშუალების ექსპერტიზის მიერ განხორციელებული შეფასების რეალობაც. გარდა ამისა როგორც გაირკვა შპს „ქარ რენტ ენდ თრეიდინგ კომპანი“ არ წარმოადგენს ავტომანქანების იმპორტიორს. აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში დეპარტამენტისთვის მიწოდებული 51 ერთეული ახალი ავტომანქანა ზემოაღნიშნულ კომპანიას შეძენილი აქვს შპს „ტოიოტა ცენტრისგან“ 1651.8 ათას ლარად, რომელიც დეპარტამენტს მიჰყიდა 1722.9 ათასი ლარად. მომწოდებლის მიერ გაწეულმა სახელმწიფო რეგისტრაციის ხარჯებმა შეადგინა 3.6 ათასი ლარი. გაურკვეველია, დეპარტამენტის მიერ ადგილობრივ ბაზარზე შუამავალი ფირმის საშუალებით ავტომანქანების შესყიდვის მოტივი, რის შედეგადაც დეპარტამენტისთვის მიყენებულმა ფინანსურმა ზარალმა შეადგინა 67.5 ათასი ლარი. სულ N05/01/01 ხელშეკრულების ფარგლებში მიღებულმა ზარალმა შეადგინა მინიმუმ 81.0 ათასი ლარი.

ანალოგიურად 2010 წლის 20 დეკემბრის N05/01/06 ხელშეკრულების ფარგლებში შპს „ქარ რენტ ენდ თრეიდინგ კომპანი“ დეპარტამენტს მოაწოდა ერთი ერთეული „ტოიოტა ლენდკრუზერ-200“ 123.5 ათას ლარად, რომელიც მან შეიძინა შპს „ტოიოტა ცენტრისგან“ 116.4 ათას ლარად. დეპარტამენტის მიერ მიღებულმა ზარალმა შეადგინა 7.0 ათასი ლარი (სახელმწიფო რეგისტრაციის ხარჯის გათვალისწინებით). ხოლო 2010 წლის 25 ოქტომბრის N05/01/05 ხელშეკრულების ფარგლებში იმავე შპს „ქარ რენტ ენდ თრეიდინგ კომპანის“ მიერ დეპარტამენტისთვის მოწოდებულია 19 ერთეული ახალი ავტომანქანა 1025.1 ათას ლარად, რომელიც კომპანიამ შეიძინა შპს „ტოიოტა ცენტრისგან“ 985.8 ათას ლარად. მომწოდებლის მიერ გაწეულმა სახელმწიფო რეგისტრაციის ხარჯებმა შეადგინა 1.3 ათასი ლარი. დეპარტამენტის მიერ მიღებულმა ზარალმა შეადგინა 38.0 ათასი ლარი.

ანალოგიურ სიტუაციას აქვს ადგილი ავტომანქანების ჩანაცვლებაზე თუ ტენდერების საშუალებით შესყიდვებზე შპს „ქარ რენტ ენდ თრეიდინგ კომპანისთან“ შესამოწმებელ პერიოდში გაფორმებულ დანარჩენი ხელშეკრულებების შემთხვევებშიც. კერძოდ:

2010 წლის 14 ივლისის N01/28/01 ხელშეკრულების ფარგლებში: ადგილობრივ ბაზარზე შესყიდვის ფასი 87.4 ათასი ლარი, გასაყიდი ფასი 93.7 ათასი ლარი, სხვაობა (სახელმწიფო რეგისტრაციის ხარჯების გათვალისწინებით) 6.2 ათასი ლარი.

2010 წლის 18 ნოემბრის N01/38/01 ხელშეკრულების ფარგლებში: ადგილობრივ ბაზარზე შესყიდვის ფასი 52.7 ათასი ლარი, გასაყიდი ფასი 69.0 ათასი ლარი, სხვაობა (სახელმწიფო რეგისტრაციის ხარჯების გათვალისწინებით) 16.2 ათასი ლარი.

2011 წლის 21 დეკემბრის N05/341/01 ხელშეკრულების ფარგლებში: ადგილობრივ ბაზარზე შესყიდვის ფასი 213.8 ათასი ლარი, გასაყიდი ფასი 233.0 ათასი ლარი, სხვაობა (სახელმწიფო რეგისტრაციის ხარჯების გათვალისწინებით) 18.6 ათასი ლარი.

2011 წლის 5 აგვისტოს N05/341/03 ხელშეკრულების ფარგლებში: ადგილობრივ ბაზარზე შესყიდვის ფასი 43.7 ათასი ლარი, გასაყიდი ფასი 46.6 ათასი ლარი, სხვაობა (სახელმწიფო რეგისტრაციის ხარჯების გათვალისწინებით) 2.8 ათასი ლარი.

2011 წლის 9 სექტემბრის N05/341/04 ხელშეკრულების ფარგლებში: ადგილობრივ ბაზარზე შესყიდვის ფასი 155.1 ათასი ლარი, გასაყიდი ფასი 168.4 ათასი ლარი, სხვაობა 13.3 ათასი ლარი.

2011 წლის 23 სექტემბრის N05/341/07 ხელშეკრულების ფარგლებში: ადგილობრივ ბაზარზე შესყიდვის ფასი 140.0 ათასი ლარი, გასაყიდი ფასი 153.9 ათასი ლარი, სხვაობა (სახელმწიფო რეგისტრაციის ხარჯების გათვალისწინებით) 13.5 ათასი ლარი.

2012 წლის 11 იანვრის N03/341/20 ხელშეკრულების ფარგლებში: ადგილობრივ ბაზარზე შესყიდვის ფასი 77.5 ათასი ლარი, გასაყიდი ფასი 81.5 ათასი ლარი, სხვაობა (სახელმწიფო რეგისტრაციის ხარჯების გათვალისწინებით) 3.9 ათასი ლარი.

2012 წლის 24 თებერვლის N03/341/57 ხელშეკრულების ფარგლებში: ადგილობრივ ბაზარზე შესყიდვის ფასი 61.3 ათასი ლარი, გასაყიდი ფასი 64.5 ათასი ლარი, სხვაობა 3.2 ათასი ლარი.

2012 წლის 29 თებერვლის N03/341/61 ხელშეკრულების ფარგლებში: ადგილობრივ ბაზარზე შესყიდვის ფასი 75.1 ათასი ლარი, გასაყიდი ფასი 78.8 ათასი ლარი, სხვაობა 3.7 ათასი ლარი.

2012 წლის 15 მარტის N03/341/75 ხელშეკრულების ფარგლებში: ადგილობრივ ბაზარზე შესყიდვის ფასი 21.5 ათასი ლარი, გასაყიდი ფასი 22.6 ათასი ლარი, სხვაობა 1.1 ათასი ლარი.

2012 წლის 5 მაისის Nზ/01/341/06 ხელშეკრულების ფარგლებში: ადგილობრივ ბაზარზე შესყიდვის ფასი 25.0 ათასი ლარი, გასაყიდი ფასი 31.5 ათასი ლარი, სხვაობა (სახელმწიფო რეგისტრაციის ხარჯების გათვალისწინებით) 6.5 ათასი ლარი.

2012 წლის 20 ივნისის Nზ/01/341/11 ხელშეკრულების ფარგლებში: ადგილობრივ ბაზარზე შესყიდვის ფასი 43.4 ათასი ლარი, გასაყიდი ფასი 45.1 ათასი ლარი, სხვაობა (სახელმწიფო რეგისტრაციის ხარჯების გათვალისწინებით) 1.6 ათასი ლარი.

2012 წლის 11 ოქტომბრის N03/341/197 ხელშეკრულების ფარგლებში: ადგილობრივ ბაზარზე შესყიდვის ფასი 20.5 ათასი ლარი, გასაყიდი ფასი 22.6 ათასი ლარი, სხვაობა 2.1 ათასი ლარი.

2012 წლის 13 ოქტომბრის Nზ/03/041/121 ხელშეკრულების ფარგლებში: ადგილობრივ ბაზარზე შესყიდვის ფასი 28.3 ათასი ლარი, გასაყიდი ფასი 29.9 ათასი ლარი, სხვაობა 1.6 ათასი ლარი.

სულ 2010-2012 წლებში შპს „ქარ რენტ ენდ თრეიდინგ კომპანისთან“ გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში დეპარტამენტის მიერ ზედმეტად გადახდილია 220.3 ათასი ლარი.

### **შსს აკადემიასთან გაფორმებული ხელშეკრულებები**

2010-2012 წლების განმავლობაში დეპარტამენტს საჯარო სამართლის იურიდიულ პირ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიასთან გაფორმებული აქვს სხვადასხვა ხელშეკრულებები (სულ 22) დეპარტამენტის თანამშრომელთა ტრენინგების, საცეცხლე

მომზადების და სხვა სახის პროფესიული მომზადების, გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებით. აღნიშნული მომსახურებებისთვის დეპარტამენტის მიერ გადახდილია სულ 268.3 ათასი ლარი (მათ შორის: 2010 წელს - 54.6 ათასი ლარი, 2011 წელს - 167.0 ათასი ლარი, 2012 წელს - 46.7 ათასი ლარი).

საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის დებულების მიხედვით<sup>21</sup> აკადემიის მიზნებს, ამოცანებს და საქმიანობის საგანს წარმოადგენს სპეციალური პროფესიული განათლებით სპეციალისტების მომზადება როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ისე სხვა გასამხედროებული დაწესებულებებისათვის, აგრეთვე პოლიციის სისტემისათვის და სხვა გასამხედროებული დაწესებულებებისათვის კადრების პროფესიული მომზადება, გადამზადება და თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება. ამ ამოცანების შესასრულებლად მას სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყოველწლიურად გამოეყოფა შესაბამისი ასიგნება. მაგალითად 2012 წლის ბიუჯეტის კანონით ამ მიზნით გათვალისწინებულია პროგრამა „სამართალდამცავი სტრუქტურებისთვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება-გადამზადება და სასწავლო პროცესის ხელშეწყობა“ (პროგრამული კოდი 30 03).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე აკადემია ვალდებულია უზრუნველყოს სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების კადრების მომზადება-გადამზადება ყოველგვარი დამატებითი ანაზღაურების გარეშე. შესაბამისად დეპარტამენტის მიერ კადრების გადამზადებაზე დამატებითი თანხების გადახდა მიზანშეუწონელია.

თუმცა დეპარტამენტს კადრების მომზადება-გადამზადების მოტივის გარეშეც სურვილის შემთხვევაში კანონმდებლობის შესაბამისად სამინისტროსთან შეთანხმებით უფლება აქვს საკუთარი შემოსავლებიდან მიღებული სახსრები გადასცეს სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს სისტემაში შემავალ სხვა საჯარო სამართლის იურიდიულ პირს მისი მიზნების განსახორციელებლად<sup>22</sup>. აღნიშნულიდან გამომდინარე აუცილებლობის შემთხვევაში მიზანშეუწონილი იქნება სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებს შორის სახსრების გადაცემა განხორციელდეს კანონმდებლობის შესაბამისად.

### **რაბათის ციხე-სიმაგრის კომპლექსის სამშენებლო სამუშაოები**

დეპარტამენტმა 2012 წლის 24 აპრილის N519176 წერილით მიმართა საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროს რათა მიეღო შუამდგომლობა ეკონომიკის სამინისტროს წინაშე ქ. ახალციხეში რაბათის ციხის კომპლექსის ტერიტორიაზე (სადაც მიმდინარეობდა კომპლექსის სარესტავრაციო სამუშაოები) არსებული შენობა-ნაგებობის ფართის ნაწილის (92.6 მ<sup>2</sup>) უვადო სარგებლობაში გადმოცემასთან დაკავშირებით.

<sup>21</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 20 ივლისის N1007 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის დებულების მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის და მე-3 მუხლის „ა“ პუნქტის მიხედვით.

<sup>22</sup> საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2<sup>1</sup> პუნქტის შესაბამისად.

აღნიშნული ფართით სარგებლობდა დეპარტამენტი კომპლექსის დაცვის უზრუნველსაყოფად. დეპარტამენტმა იგივე თხოვნით 2012 წლის 1 ნოემბრის N1453723 წერილით მიმართა ქ. ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს. ხოლო 2013 წლის 11 მარტის N450126 წერილით განმეორებითი თხოვნით მიმართა ისევ ქ. ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს. მიუხედავად ამისა შესამოწმებელი პერიოდის ბოლოსთვის (2013 წლის 1 იანვარი) აღნიშნული ფართი გადმოცემული არ იყო და საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით მესაკუთრეს წარმოადგენდა ქ. ახალციხის მუნიციპალიტეტი. ვერ იქნა წარმოდგენილი არგუმენტი თუ რა აუცილებლობას წარმოადგენდა აღნიშნული ფართის უვადო სარგებლობაში (ანუ ბალანსიდან ბალანსზე) გადმოცემა. დეპარტამენტს ბალანსზე გადმოცემის გარეშე შეძლო რაბათის ციხის კომპლექსის დაცვის უზრუნველყოფა (რასაც ის მანამდეც ახორციელებდა).

როგორც გაირკვა დეპარტამენტი აღნიშნული ფართის ბალანსიდან ბალანსზე გადმოცემით დაინტერესებული იყო იმ მოტივით, რომ კომპლექსის აღნიშნული ნაწილის სარესტავრაციო სამუშაოები დაეფინანსებინა. მიუხედავად იმისა, რომ ფართის გადმოცემა არ მომხდარა, 2012 წლის 21 მაისს დეპარტამენტმა შპს „ევროპიენ ბილდინგ მათერიალს ჯენერალთან“ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გააფორმა 252.1 ათასი ლარის ღირებულების ხელშეკრულება N8/03/454/55 რაბათის ციხის კომპლექსის დაცვის უზრუნველსაყოფად ოფისის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ჩასატარებლად. დაფინანსება განხორციელდა საბიუჯეტო ასიგნებებიდან. აღნიშნული გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახსრების ხარჯვის კანონმდებლობით განსაზღვრულ უფლებამოსილებას<sup>23</sup> (აღნიშნული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შესყიდვა უნდა განხორციელდებინა საამისოდ უფლებამოსილ უწყებას), ასევე სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელ კანონმდებლობას<sup>24</sup>, რომლის მიხედვითაც შესყიდვა უნდა განხორციელდებოდა ელექტრონული ტენდერის საშუალებით.

2012 წლის 15 აგვისტოს დეპარტამენტსა და შპს „ევროპიენ ბილდინგ მათერიალს ჯენერალს“ შორის ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2012 წლის 14 აგვისტოს N02735-2012/03/1 დასკვნის საფუძველზე გაფორმდა შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტი, რომლის მიხედვითაც შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 162.0 ათასი ლარი, რაც დეპარტამენტის მიერ გადახდილი იქნა. შესრულებული სამუშაოების ხარჯთაღრიცხვის (ფორმა N2) შემოწმებით გაირკვა, რომ ხარჯთაღრიცხვაში ზედნადები ხარჯები და მოგება დარიცხულია კანონმდებლობის დარღვევით. კერძოდ, ნაცვლად კანონმდებლობით<sup>25</sup> დაშვებული მაქსიმალური ზღვრული ოდენობისა (ზედნადები ხარჯები - 10%, მოგება - 8%), დარიცხვები გაკეთებულია შემდეგი ოდენობით: ზედნადები ხარჯები - 12%, მოგება - 10%.

<sup>23</sup> საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა.

<sup>24</sup> სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-10<sup>1</sup> მუხლის მოთხოვნა.

<sup>25</sup> საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის N1463 ბრძანებით დამტკიცებული სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის შესაბამისად.

შედეგად შესრულებული სამუშაოების ღირებულება გაზრდილია და დეპარტამენტის მიერ შპს „ევროპიენ ბილდინგ მათერიალს ჯენერალსის“ სასარგებლოდ ზედმეტად გადახდილია 5.1 ათასი ლარი<sup>26</sup>.

გარდა ზემოაღნიშნული ხელშეკრულებისა, დეპარტამენტმა ძვირფასი ჯიშის დამპყვლელებული მერქნის ხის მასალისგან (წაბლი და მუხა) დამზადებული კარ-ფანჯრებით რაბათის ციხის კომპლექსის უზრუნველყოფის მიზნით ზემოაღნიშნულის მსგავსად კანონდარღვევით 2012 წლის 4 ივნისს გააფორმა ხელშეკრულება №03/442/68 ინდემწარმე „გოჩა სხილამესთან“ ღირებულებით 15.5 ათასი ლარი. თანხა გადახდილია ასევე საბიუჯეტო სახსრებიდან.

რაც შეეხება რაბათის ციხის კომპლექსის სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებულ ზემოაღნიშნული გადახდილი თანხების ბუღალტრულ აღრიცხვას, საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით გადახდები არასწორად განხორციელდა არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით. გადახდები უნდა განხორციელებულიყო სხვა ხარჯების მუხლით (რადგან კომპლექსი არ იმყოფებოდა დეპარტამენტის საკუთრებაში). შესაბამისად დეპარტამენტის ბალანსში აღნიშნული მუხლი არასწორად გაზრდილია 177.5 ათასი ლარით.

### **არაგაბარიტული ტვირთების დაცვა-გაცილებაზე გაწეული მომსახურებები**

დეპარტამენტის დაცვის ორგანიზაციის მთავარი სამმართველოს მე-2 სამმართველო იურიდიულ და კერძო პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე ახორციელებს სხვადასხვა სახის დაცვით მომსახურებებს, მათ შორის არაგაბარიტული და ზენორმატიული ტვირთების დაცვა-გაცილებას ინფრასტრუქტურის და საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად<sup>27</sup>.

დეპარტამენტის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი აღნიშნული სახის მომსახურების საფასურის განმსაზღვრელი დამტკიცებული ტარიფები. მიუხედავად ამისა დეპარტამენტს ბაზრის მოთხოვნის საფუძველზე გასული წლების პრაქტიკის გათვალისწინებით განსაზღვრული აქვს დაუმტკიცებელი მომსახურების საფასურის ტარიფები. აღნიშნული ტარიფებით განსაზღვრულია სხვადასხვა მიმართულებებით გასაცილებელ ერთ ავტომანქანაზე გადასახდელი თანხა ტვირთის ზომებიდან (კატეგორიებიდან) გამომდინარე (სულ 4 კატეგორია). მაგალითად, ერთი ავტომანქანის დაცვა-გაცილება სარფი-წითელი ხიდის მიმართულებით ტვირთის პირველი კატეგორია - 2000 ლარი, მეორე კატეგორია - 2900 ლარი, მესამე კატეგორია - 3600 ლარი და მეოთხე კატეგორია - 5800 ლარი. შესაბამისად უმეტეს შემთხვევებში ხელშეკრულებები გაფორმებულია ზემოაღნიშნულ ტარიფებზე დაყრდნობით (ე.წ. საუკეთესო პრაქტიკის გამოყენებით).

<sup>26</sup>  $162.0 - [(112.4 + 10.7) \times 1.08 \times 1.18] = 5.1$  (162.0-გადახდილი თანხა, 112.4-პირდაპირი ხარჯები, 10.7-კორექტირებული ზედნადები ხარჯები, 1.08-მოგების დასაშვები ნორმა, 1.18-დღგ-ს განაკვეთი).

<sup>27</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრების 2006 წლის 3 აგვისტოს №956/746 ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული საავტომობილო ტრანსპორტით არაგაბარიტული (მსხვილგაბარიტის) და ზენორმატიული (მძიმეწონიანი) ტვირთების გადაზიდვის მარშრუტის შერჩევის და უსაფრთხოოდ გადაადგილების წესის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად.

მაგრამ ცალკეულ შემთხვევებში უგულებელყოფილია ზემოაღნიშნული პრაქტიკა და ხელშეკრულებები გაფორმებულია მომსახურების საფასურის განსაზღვრის სხვა წესის (რომელიც ასევე დამტკიცებული არ არის) გამოყენებით, კერძოდ ე.წ. „ხარჯების ფორმულის“ მიხედვით. აღნიშნული ფორმულა მომსახურების საფასურს ანგარიშობს გამცილებელი დაცვის თანამშრომლების ხელფასის, მივლინების, საწვავის და ავტოტრანსპორტის ცვეთის ხარჯებზე მოგების და დღგ-ს დარიცხვის საშუალებით (ეკიპაჟის თითოეულ წევრზე 15 ლარი სადღეღამისო კვების თანხა, 50 ლარი სასტუმროს მომსახურების და 35 ლარი ხელფასი - სულ დღეში 100 ლარი; საწვავის ღირებულება - შეძენის ფასის და მანძილის მიხედვით; ავტოტრანსპორტის ცვეთა - საწვავის 100%).

აღნიშნული მეთოდი აშკარად არასრულყოფილია, რადგან საფასურის განსაზღვრისას არ გაითვალისწინება გასაცილებელი სატვირთო ავტომანქანების რაოდენობა, აგრეთვე ხარჯებში არ არის გათვალისწინებული დაცვის თანამშრომელთა შესანახად გასაწევი სხვა დანარჩენი ხარჯები შესაბამისი პროპორციით (უნიფორმა, შეიარაღება, სპეცტექნიკა და ა.შ.), არ არის გათვალისწინებული ასევე ადმინისტრაციული ხარჯები. შედეგად ე.წ. „სატარიფო სისტემის“ მიხედვით განსაზღვრული მომსახურების საფასური ბევრად აღემატება „ხარჯების ფორმულით“ განსაზღვრულ მომსახურების საფასურს. იმ შემთხვევაში კი როცა გასაცილებელი სატვირთო ავტომანქანების რაოდენობა ერთზე მეტია აღნიშნული თანაფარდობა რამდენჯერმე იზრდება. შედეგად გაურკვეველი მოტივით ცალკეულ ფორმებთან ე.წ. „ხარჯების ფორმულის“ საფუძველზე ხელშეკრულებების გაფორმების შედეგად დეპარტამენტის შემოსავლები მნიშვნელოვნად არის შემცირებული. კერძოდ, დეპარტამენტის მიერ აღნიშნული სახის მომსახურებებზე გაფორმებული ხელშეკრულებების შერჩევითი შემოწმების შედეგად გამოვლინდა შემდეგი:

დეპარტამენტმა არაგაბარიტული და ზენორმატიული ტვირთების დაცვა-გაცილების მომსახურებაზე 2010 წლის 23 მარტს გააფორმა ხელშეკრულება N1/881 შპს „ტრანზიტ სერვისი 888“-სთან, რომლის მიხედვითაც მომსახურების საფასური განისაზღვრა ე. წ. „ხარჯების ფორმულის“ საფუძველზე (ნაცვლად ე.წ. „სატარიფო სისტემისა“). ამის შემდეგ კვლავ ე. წ. „ხარჯების ფორმულის“ საფუძველზე იქნა გაფორმებული შემდგომი 2011 წლის 30 აპრილის N1/2150 და 2012 წლის 14 მარტის N1/1176 ხელშეკრულებები. აღნიშნული ხელშეკრულებების საფუძველზე შპს „ტრანზიტ სერვისი 888“-სგან 2010 წლის განმავლობაში მიღებული იქნა დარიცხული შემოსავალი 193.1 ათასი ლარის ოდენობით. ე.წ. „სატარიფო სისტემის“ საფუძველზე ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში შემოსავალი იქნებოდა 422.0 ათასი ლარი. სხვაობა შეადგენს 228.9 ათას ლარს. 2011 წლის განმავლობაში მიღებული იქნა დარიცხული შემოსავალი 238.4 ათასი ლარის ოდენობით. ე.წ. „სატარიფო სისტემით“ მიღებული შემოსავალი იქნებოდა 570.9 ათასი ლარი. სხვაობა შეადგენს 332.5 ათას ლარს. 2012 წლის განმავლობაში მიღებული იქნა დარიცხული შემოსავალი 555.3 ათასი ლარის ოდენობით. ე.წ. „სატარიფო სისტემით“ მიღებული შემოსავალი იქნებოდა 1723.9 ათასი ლარი. სხვაობა შეადგენს 1168.6 ათას ლარს. სულ 2010-2012 წლების განმავლობაში შპს „ტრანზიტ სერვისი 888“-სგან მიღებული შემოსავლები შემცირებულია 1730.0 ათასი ლარით.

ანალოგიურად დეპარტამენტმა არაგაბარიტული და ზენორმატიული ტვირთების დაცვა-გაცილების მომსახურებაზე 2010 წლის 8 დეკემბერს გააფორმა ხელშეკრულება N1/6153, ხოლო 2012 წლის 12 აპრილს გააფორმა ხელშეკრულება N1/1758 შპს „ტრანსპორტ & თრექინგ კომპანისთან“, რომელთა მიხედვითაც მომსახურების საფასური განისაზღვრა ე. წ. „ხარჯების

ფორმულის“ საფუძველზე. აღნიშნული ხელშეკრულებების საფუძველზე შპს „ტრანსპორტ & თრეიწგ კომპანისგან“ 2011 წლის განმავლობაში მიღებული იქნა დარიცხული შემოსავალი 73.0 ათასი ლარის ოდენობით. ე.წ. „სატარიფო სისტემის“ საფუძველზე ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში შემოსავალი იქნებოდა 140.5 ათასი ლარი. სხვაობა შეადგენს 67.5 ათას ლარს. 2012 წლის განმავლობაში მიღებული იქნა დარიცხული შემოსავალი 61.8 ათასი ლარის ოდენობით. ე.წ. „სატარიფო სისტემის“ საფუძველზე ხელშეკრულებების გაფორმების შემთხვევაში შემოსავალი იქნებოდა 153.9 ათასი ლარი. სხვაობა შეადგენს 92.1 ათას ლარს. სულ 2011-2012 წლების განმავლობაში შპს „ტრანსპორტ & თრეიწგ კომპანისგან“ მიღებული შემოსავლები შემცირებულია 159.6 ათასი ლარით.

ანალოგიურად არაგაბარიტული და ზენორმატიული ტვირთების დაცვა-გაცილების მომსახურებაზე დეპარტამენტსა შპს „ნიუ-ენერჯის“ შორის გაფორმებული 2009 წლის 28 დეკემბრის N1/5144, 2010 წლის 27 დეკემბრის N1/6710 და 2012 წლის 27 აპრილის N1/2037 ხელშეკრულებების მიხედვით მომსახურების საფასური განისაზღვრა ე. წ. „ხარჯების ფორმულის“ საფუძველზე. აღნიშნული ხელშეკრულებების საფუძველზე შპს „ნიუ-ენერჯისგან“ 2010 წლის განმავლობაში მიღებული იქნა დარიცხული შემოსავალი 66.5 ათასი ლარის ოდენობით. ე.წ. „სატარიფო სისტემის“ საფუძველზე ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში შემოსავალი იქნებოდა 121.1 ათასი ლარი. სხვაობა შეადგენს 54.6 ათას ლარს. 2011 წლის განმავლობაში მიღებული იქნა დარიცხული შემოსავალი 58.9 ათასი ლარის ოდენობით. ე.წ. „სატარიფო სისტემის“ საფუძველზე ხელშეკრულებების გაფორმების შემთხვევაში შემოსავალი იქნებოდა 115.9 ათასი ლარი. სხვაობა შეადგენს 57.0 ათას ლარს. 2012 წლის განმავლობაში მიღებული იქნა დარიცხული შემოსავალი 43.6 ათასი ლარის ოდენობით. ე.წ. „სატარიფო სისტემის“ საფუძველზე ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში შემოსავალი იქნებოდა 96.9 ათასი ლარი. სხვაობა შეადგენს 53.3 ათას ლარს. სულ 2010-2012 წლების განმავლობაში შპს „ნიუ-ენერჯისგან“ მიღებული შემოსავლები შემცირებულია 164.9 ათასი ლარით.

ასევე დეპარტამენტმა არაგაბარიტული და ზენორმატიული ტვირთების დაცვა-გაცილების მომსახურებაზე შპს „ლოჯისტიკს სოლუშენსთან“ გააფორმა 2011 წლის 24 მარტის N1/1587 და 2012 წლის 19 აპრილის N1/1857 ხელშეკრულებები, რომელთა მიხედვითაც მომსახურების საფასური განისაზღვრა ე. წ. „ხარჯების ფორმულის“ საფუძველზე. აღნიშნული ხელშეკრულებების საფუძველზე 2011 წლის განმავლობაში მიღებული იქნა დარიცხული შემოსავალი 3.5 ათასი ლარის ოდენობით. ე.წ. „სატარიფო სისტემის“ საფუძველზე ხელშეკრულებების გაფორმების შემთხვევაში შემოსავალი იქნებოდა 13.6 ათასი ლარი. სხვაობა შეადგენს 10.1 ათას ლარს. 2012 წლის განმავლობაში მიღებული იქნა დარიცხული შემოსავალი 2.0 ათასი ლარის ოდენობით. ე.წ. „სატარიფო სისტემის“ საფუძველზე ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში შემოსავალი იქნებოდა 8.4 ათასი ლარი. სხვაობა შეადგენს 6.4 ათას ლარს. სულ 2011-2012 წლების განმავლობაში შპს „ლოჯისტიკს სოლუშენსისგან“ მიღებული შემოსავლები შემცირებულია 16.5 ათასი ლარით.

მომსახურების საფასურის განსაზღვრისას ე. წ. „ხარჯების ფორმულის“ გამოყენების შედეგად 2010-2012 წლების განმავლობაში დეპარტამენტის შემოსავლები ჯამურად

შემცირებულია დაახლოებით<sup>28</sup> 2071.0 ათასი ლარით (ზემოაღნიშნული თანხების დეტალური გაანგარიშება მოცემულია დანართებში).

გარდა ე.წ. „ხარჯების ფორმულის“ გამოყენებით განხორციელებული ფასდაკლებებისა, გამოვლინდა შემთხვევა, როცა არაგაბარიტული ტვირთების დაცვა-გაცილებაზე მომსახურების საფასური განსაზღვრულია ე.წ. „სატარიფო სისტემით“, მაგრამ პრაქტიკაში მიღებულთან შედარებით განსხვავებული (შემცირებული) ტარიფებით. კერძოდ, განსხვავებული ტარიფები გამოყენებული იყო შპს „აკბას“ მიმართ, რის შედეგადაც 2011 წლის განმავლობაში დეპარტამენტის შემოსავლები შემცირებულია 4.0 ათასი ლარით, ხოლო 2012 წლის განმავლობაში - 53.1 ათასი ლარით. სულ შემოსავლები შემცირებულია 57.1 ათასი ლარით.

### **კომერციული ბანკებისგან სატრანსპორტო საშუალებების შესყიდვა**

შესამოწმებელ პერიოდში დეპარტამენტს კომერციული ბანკებისგან შეძენილი აქვს სპეციალიზებული (ბრონირებული) ავტომანქანები იმავე ბანკებისთვის საინკასაციო მომსახურების გასაწევად. შესყიდვები განხორციელდა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით. მაგალითად:

2011 წლის 3 დეკემბერს დეპარტამენტმა სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიასთან“ გააფორმა ხელშეკრულება N05/341/09 14 ერთეული ავტომანქანის შესაძენად ჯამური ღირებულებით 713.2 ათასი ლარი, გადახდის გადავადებული გრაფიკით 24 თვის განმავლობაში. ხოლო 2012 წლის 12 აპრილს დეპარტამენტმა იმავე სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიასთან“ გააფორმა ხელშეკრულება N03/341/97 ერთი ერთეული ავტომანქანის შესაძენად ღირებულებით 25.9 ათასი ლარი.

დეპარტამენტმა სს „თი ბი სი ბანკთან“ 2012 წლის 9 მარტს გააფორმა ხელშეკრულება N05/341/71 6 ერთეული ავტომანქანის შესაძენად ჯამური ღირებულებით 267.0 ათასი ლარი, გადახდის გადავადებული გრაფიკით 22 თვის განმავლობაში. იმავე სს „თი ბი სი ბანკთან“ 2012 წლის 7 ივნისს გააფორმა ხელშეკრულება N03/341/145 11 ერთეული ავტომანქანის შესაძენად ჯამური ღირებულებით 676.9 ათასი ლარი, გადახდის გადავადებული გრაფიკით 27 თვის განმავლობაში. 2012 წლის 9 იანვარს დეპარტამენტმა სს „ბაზისბანკთან“ გააფორმა ხელშეკრულება N03/341/10 3 ერთეული ავტომანქანის შესაძენად ჯამური ღირებულებით 28.1 ათასი ლარი.

ზემოაღნიშნული შესყიდვების განხორციელებისას კანონმდებლობით განსაზღვრული გადაუდებელი აუცილებლობის ვითარების არსებობა (რომელიც რეალურ საფრთხეს უქმნის შემსყიდველი ორგანიზაციის ფუნქციონირებას და ა.შ.) დასაბუთებული ვერ იქნა. შესყიდვების ელექტრონული ტენდერის გზით განხორციელების შემთხვევაში შესაძლებელი იყო დეპარტამენტს მიეღო ფულადი სახსრების მნიშვნელოვანი ეკონომია.

<sup>28</sup> **შენიშვნა:** რადგან არ არსებობს დამტკიცებული ტარიფები, ცალკეული მიმართულებების შემთხვევებში მომსახურების სატარიფო საფასური გაანგარიშებულია ანალოგიური მანძილის და ტვირთის კატეგორიის მიხედვით.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ დეპარტამენტში არ მოიპოვება ავტომანქანების შესყიდვის ფასის რეალურ საბაზრო ფასთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტები (ექსპერტის დასკვნა და ა.შ.). აუდიტის მიმდინარეობისას ქონების შეფასების აქტი მოტანილი იქნა მხოლოდ სს „ბაზისბანკიდან“. პასუხისმგებელი პირების განმარტებით ავტომანქანების შეფასება განახორციელეს ბანკებმა და მათ მიერ წამოყენებული პირობებით მოხდა ავტომანქანების შესყიდვა.

რაც შეეხება ბანკებისგან ბრონირებული ავტომანქანების შესყიდვით მიღებულ ფინანსურ შედეგს, 2012 წლის მონაცემების მიხედვით დეპარტამენტის დაცვის ორგანიზაციის მთავარი სამმართველოს მე-3 სამმართველოს (რომელიც აწარმოებს საინკასაციო მომსახურებას) წლიურმა შემოსავალმა შეადგინა 2980.7 ათასი ლარი (დღგ-ს გარეშე). შრომის ანაზღაურების ხარჯმა შეადგინა 1852.5 ათასი ლარი, საქონელი და მომსახურების (მივლინება, უნიფორმა, საწვავი, რემონტი და ა.შ.) ხარჯმა შეადგინა 1030.3 ათასი ლარი, ავტომანქანების ცვეთა 419.0 ათასი ლარი. სულ ხარჯმა შეადგინა 3301.8 ათასი ლარი. მიღებულმა ზარალმა შეადგინა 321.1 ათასი ლარი. აქედან გამომდინარე თუ არ იქნა გადახდილი ბანკებთან გაფორმებული მომსახურების სახელშეკრულებო ღირებულებები, ძველი ბრონირებული ავტომანქანების ბანკებისთვის სასურველი ფასებით რეალიზაციით მოგებული რჩებიან მხოლოდ ბანკები. გაურკვეველია, თუ რატომ არ იქნა გათვალისწინებული ზემოაღნიშნული ფაქტორები ავტომანქანების შესყიდვისას.

### **სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული სხვა დარღვევები**

სახელმწიფო შესყიდვების შემოწმებით გამოვლინდა ფულადი სახსრების არარაციონალური ხარჯვის სხვა შემთხვევებიც, რასაც განაპირობებს ბაზრის კვლევის უგულებელყოფა და შესყიდვის სავარაუდო ღირებულების არასწორად (გაზრდილად) განსაზღვრა. არასწორად განსაზღვრული შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით სარგებლობენ მომწოდებლები და ტენდერების თუ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესყიდვების განხორციელების დროს სახელმწიფო სახსრების ხარჯზე ღებულობენ არაგონივრულად დიდ მოგებას. განსაკუთრებით კი ეს ხდება იმ შემთხვევებში როდესაც ტენდერში მონაწილეობას ღებულობს ერთი პრეტენდენტი. მაგალითად:

2012 წლის 12 მარტს დეპარტამენტმა გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (SPA120008109) საბიუჯეტო სახსრებით სხვადასხვა სახეობის ვიდეოკამერების და ვიდეოჩამწერების შესყიდვის მიზნით (სულ 424 ერთეული). შესყიდვის სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა 381.4 ათასი ლარით. თუმცა გაურკვეველია, თუ როგორ იქნა გაანგარიშებული აღნიშნული თანხა. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ერთმა პრეტენდენტმა - შპს „ნეოტექმა“ და გაიმარჯვა სატენდერო წინადადებით 349.3 ათასი ლარი. აღნიშნულ კომპანიასთან 2012 წლის 18 აპრილს გაფორმდა ხელშეკრულება №01/323/04. 2012 წლის 17 მაისის შეთანხმების ოქმით სახელშეკრულებო ღირებულება შემცირდა 337.3 ათას ლარამდე (გაუქმდა კამერების ჰერმეტიკული ყუთების და სამაგრების მოწოდების ვალდებულება). მიღება-ჩაბარების აქტების და ანგარიშ-ფაქტურების მიხედვით აღნიშნული სპეცტექნიკა მოწოდებული იქნა 2012 წლის 30 აპრილს და 17 მაისს. როგორც შპს „ნეოტექის“ იმპორტის დოკუმენტებით გაირკვა იმპორტირებული ტექნიკის თვითღირებულებამ შეადგინა დაახლოებით 194.7 ათასი ლარი

(დღგ-ს გარეშე). გასაყიდი ფასი დღგ-ს გარეშე შეადგენს 285.8 ათას ლარს (337.3/1.18). ფასნამატი თვითღირებულებაზე შეადგენს დაახლოებით 91.1 ათას ლარს (47%).

დეპარტამენტმა 2012 წლის 3 ივლისს საკუთარი სახსრებით სხვადასხვა სახის დეტექტორების შესყიდვაზე გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში (SPA120018476) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებად განსაზღვრა 113.0 ათასი ლარი. მონაწილეობა მიიღო ორმა პრეტენდენტმა. დაბალი ფასის მქონე (105.5 ათასი ლარი) შპს „ჯი ეს სი“ დისკვალიფიცირებული იქნა იმ მოტივით, რომ მის მიერ წარმოდგენილი ნიმუში არ შეესაბამებოდა სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებულ მოდელს. გაიმარჯვა იმავე შპს „ნეოტექმა“ სატენდერო წინადადებით 113.0 ათასი ლარი, რომელთანაც 2012 წლის 30 აგვისტოს გაფორმდა ხელშეკრულება N01/384/62. როგორც იმპორტის დოკუმენტებით გაირკვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ერთ-ერთი სახის იმპორტირებული საქონლის (1750 ცალი სახანძრო დეტექტორი) ჯამურმა თვითღირებულებამ შეადგინა დაახლოებით 34.1 ათასი ლარი (დღგ-ს გარეშე). გასაყიდმა ფასმა დღგ-ს გარეშე შეადგინა 56.4 ათასი ლარი (66.5/1.18). ფასნამატი თვითღირებულებაზე შეადგენს დაახლოებით 22.3 ათას ლარს (65%).

იმავე შპს „ნეოტექთან“ გაფორმებული 2010 წლის 10 მარტის N01/08/03 ხელშეკრულებაში 2010 წლის 6 დეკემბრის ცვლილებით გადაწყდა, რომ მოსაწოდებლად დარჩენილი 108.0 ათასი ლარის 1600 ცალი სახანძრო დეტექტორის ნაცვლად (სულ 2100 ცალიდან) ხელშეკრულების ჯამური ღირებულების შეუცვლელად კომპანიას მოეწოდებინა 63 ცალი გარე გამოყენების დეტექტორი ღირებულებით 107.1 ათასი ლარი და ელექტროსადენი ღირებულებით 0.9 ათასი ლარი. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტებით გაირკვა იმპორტირებული 63 ცალი გარე გამოყენების დეტექტორის ჯამურმა თვითღირებულებამ შეადგინა დაახლოებით 51.5 ათასი ლარი (დღგ-ს გარეშე). გასაყიდმა ფასმა დღგ-ს გარეშე შეადგინა 90.7 ათასი ლარი (107.1/1.18). ფასნამატი თვითღირებულებაზე შეადგენს დაახლოებით 39.2 ათას ლარს (76%).

2010 წლის 14 დეკემბერს დეპარტამენტმა გამოაცხადა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი (SPA100000093) რენტგენული დათვალიერების მოწყობილობის შესაძენად. შესყიდვის სავარაუდო ღირებულებად განისაზღვრა 127.0 ათასი ლარი. ვერ იქნა წარმოდგენილი არგუმენტი, თუ საიდან იქნა განსაზღვრული თანხის აღნიშნული ოდენობა. ტენდერში (რომელშიც მონაწილეობდა ორი პრეტენდენტი) გაიმარჯვა შპს „ტექნიკური ცენტრი გრომ“, რომელთანაც 2010 წლის 28 დეკემბერს გაფორმდა N01/44/01 ხელშეკრულება ღირებულებით 123.5 ათასი ლარი. როგორც შპს „ტექნიკური ცენტრი გროს“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით გაირკვა იმპორტირებული აღნიშნული მოწყობილობის თვითღირებულებამ შესაბამისი კურსით შეადგინა დაახლოებით 72.1 ათასი ლარი (შესყიდვის ფასი, ტრანსპორტირება, საბაჟო მომსახურება). გასაყიდი ფასი დღგ-ს გარეშე შეადგენს 104.7 ათას ლარს (123.5/1.18). ფასნამატი თვითღირებულებაზე შეადგენს დაახლოებით 32.6 ათას ლარს (45%).

აღსანიშნავია, რომ შპს „ტექნიკური ცენტრი გროს“ მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია (#PE22205/10, საქართველოს ბანკი, 4.9 ათასი ლარი) დათარიღებულია 2010 წლის 24 დეკემბრით მაშინ, როცა კომპანია გამარჯვებულად გამოცხადდა სატენდერო კომისიის 2010 წლის 27 დეკემბრის N4 კომისიის სხდომის ოქმის

საფუძველზე. ტენდერში გამარჯვებასთან დაკავშირებით შეტყობინება (წერილი) კი გაიგზავნა 2010 წლის 28 დეკემბერს.

სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის შესაბამისად <sup>29</sup> დეპარტამენტის საშუალებით შპს „ალპა“-სგან მოთხოვნილი იქნა შესამოწმებელ პერიოდში დეპარტამენტისთვის მიწოდებული სპეცტექნიკის შესყიდვასთან დაკავშირებული დოკუმენტები, რაზეც კომპანიისგან კანონის მოთხოვნის უგულვებელყოფით მიღებული იქნა უარი (შპს „ალპა“-ის 2013 წლის 5 ივნისის N130605 წერილი). სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტიდან მოწოდებული იქნა აღნიშნული დოკუმენტები, რომლის შემოწმებით გაირკვა შემდეგი:

საბიუჯეტო სახსრებით სხვადასხვა სახის საკონტროლო პანელების შესყიდვაზე 2012 წლის 3 ივლისს გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში (SPA120018479) დეპარტამენტმა შესყიდვის სავარაუდო ღირებულებად განსაზღვრა 415.0 ათასი ლარი. მონაწილეობა მიიღო ერთმა პრეტენდენტმა შპს „ალპა“-მა, რომელმაც გაიმარჯვა სატენდერო წინადადებით 409.4 ათასი ლარი. 2012 წლის 23 აგვისტოს გაფორმდა ხელშეკრულება Nბ/01/312/13. როგორც იმპორტის დოკუმენტებით გაირკვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული იმპორტირებული საქონლის (საკონტროლო პანელები და დეტექტორების მიმღები სულ 2500 ერთეული) ჯამურმა თვითღირებულებამ შეადგინა დაახლოებით 224.3 ათასი ლარი (დღგ-ს გარეშე). გასაყიდმა ფასმა დღგ-ს გარეშე შეადგინა 346.9 ათასი ლარი (409.4/1.18). ფასნამატი თვითღირებულებაზე შეადგენს დაახლოებით 122.6 ათას ლარს (55%).

საბიუჯეტო სახსრებით სხვადასხვა სახის დეტექტორების შესყიდვაზე გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში (SPA120018477) დეპარტამენტმა შესყიდვის სავარაუდო ღირებულებად განსაზღვრა 286.0 ათასი ლარი. გაიმარჯვა შპს „ალპა“-მ სატენდერო წინადადებით 272.0 ათასი ლარი. 2012 წლის 23 აგვისტოს გაფორმდა ხელშეკრულება Nბ/01/384/14. როგორც იმპორტის დოკუმენტებით გაირკვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული იმპორტირებული საქონლის (სხვადასხვა სახის დეტექტორები სულ 4200 ერთეული) ჯამურმა თვითღირებულებამ შეადგინა დაახლოებით 129.8 ათასი ლარი (დღგ-ს გარეშე). გასაყიდმა ფასმა დღგ-ს გარეშე შეადგინა 230.5 ათასი ლარი (272.0/1.18). ფასნამატი თვითღირებულებაზე შეადგენს დაახლოებით 100.7 ათას ლარს (78%). გაურკვეველია, თუ როგორ იქნა განსაზღვრული დეპარტამენტის მიერ შესყიდვის სავარაუდო ღირებულება, რის შედეგადაც შპს „ალპა“-ს მიეცა საშუალება საქონელი მოეწოდებინა მაღალი ფასნამატით.

საკუთარი სახსრებით საკონტროლო პანელების მოდულებისა და გამამდიერებლების შესყიდვაზე 2012 წლის 10 ოქტომბერს გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში (SPA120024960) დეპარტამენტმა შესყიდვის სავარაუდო ღირებულებად განსაზღვრა 30.0 ათასი ლარი. მონაწილეობა მიიღო ერთმა პრეტენდენტმა შპს „ალპა“-მა, რომელმაც გაიმარჯვა სატენდერო წინადადებით 27.0 ათასი ლარი. 2012 წლის 5 ნოემბერს გაფორმდა ხელშეკრულება N02/317/118. როგორც იმპორტის დოკუმენტებით გაირკვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული იმპორტირებული საქონლის ჯამურმა თვითღირებულებამ შეადგინა

<sup>29</sup> სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის 22<sup>1</sup> მუხლის საფუძველზე.

დაახლოებით 14.6 ათასი ლარი (დღგ-ს გარეშე). გასაყიდმა ფასმა დღგ-ს გარეშე შეადგინა 22.9 ათასი ლარი (27.0/1.18). ფასნამატი თვითღირებულებაზე შეადგენს დაახლოებით 8.3 ათას ლარს (57%).

გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერებში (SPA110003740 და SPA110004411) გამარჯვების საფუძველზე შპს „ალპა“-სთან გაფორმებულ 2011 წლის 11 მარტის N01/384/02 და 2011 წლის 18 მარტის N01/384/03 ხელშეკრულებების ფარგლებში (ღირებულებებით თითოეული 54.4 ათასი ლარი) იმპორტირებული უკაბელო მოძრაობის დეტექტორების თვითღირებულებამ ჯამურად შეადგინა დაახლოებით 47.7 ათასი ლარი (დღგ-ს გარეშე). გასაყიდმა ფასმა დღგ-ს გარეშე შეადგინა 92.2 ათასი ლარი (54.4\*2/1.18). ფასნამატი თვითღირებულებაზე შეადგენს დაახლოებით 44.5 ათას ლარს (93%).

გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერებში (SPA110003741 და SPA110004416) გამარჯვების საფუძველზე შპს „ალპა“-სთან გაფორმებულ 2011 წლის 18 თებერვლის N01/317/01 და 2011 წლის 23 თებერვლის N01/317/02 ხელშეკრულებების ფარგლებში (ღირებულებებით ჯამურად 57.3 ათასი ლარი) იმპორტირებული 280 ერთეული უკაბელო მიმღებების თვითღირებულებამ ჯამურად შეადგინა დაახლოებით 23.8 ათასი ლარი (დღგ-ს გარეშე). გასაყიდმა ფასმა დღგ-ს გარეშე შეადგინა 48.6 ათასი ლარი (57.3/1.18). ფასნამატი თვითღირებულებაზე შეადგენს დაახლოებით 24.8 ათას ლარს (104%). გაუგებარია, თუ როგორ განსაზღვრა დეპარტამენტმა შესყიდვის სავარაუდო ღირებულებად 60.2 ათასი ლარი (ჯამურად ორივე ტენდერზე).

ანალოგიურად, გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში (SPA120010481) გამარჯვების საფუძველზე შპს „ალპა“-სთან გაფორმებულ 2012 წლის 8 მაისის N01/312/39 ხელშეკრულების ფარგლებში (ღირებულებით 148.8 ათასი ლარი) იმპორტირებული საკონტროლო პანელების თვითღირებულებამ შეადგინა დაახლოებით 86.8 ათასი ლარი (დღგ-ს გარეშე). გასაყიდმა ფასმა დღგ-ს გარეშე შეადგინა 126.1 ათასი ლარი (148.8/1.18). ფასნამატი თვითღირებულებაზე შეადგენს დაახლოებით 39.3 ათას ლარს (45%).

ანალოგიურად, ელექტრონულ ტენდერში (SPA120001526) გამარჯვების საფუძველზე შპს „ალპა“-სთან გაფორმებულ 2012 წლის 17 თებერვლის N01/384/09 ხელშეკრულების ფარგლებში (ღირებულებით 418.5 ათასი ლარი) იმპორტირებული სხვადასხვა სახის დეტექტორების თვითღირებულებამ შეადგინა დაახლოებით 255.3 ათასი ლარი (დღგ-ს გარეშე). გასაყიდმა ფასმა დღგ-ს გარეშე შეადგინა 354.7 ათასი ლარი (418.5/1.18). ფასნამატი თვითღირებულებაზე შეადგენს დაახლოებით 99.4 ათას ლარს (39%).

საკუთარი სახსრებით GPS/GPRS მოწყობილობების (1000 ერთეული) შესყიდვაზე გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში (SPA110004161) გაიმარჯვა შპს „კასა ტრეიდმა“ სატენდერო წინადადებით 449.5 ათასი ლარი. 2011 წლის 15 მარტს გაფორმდა ხელშეკრულება N01/381/01. ხელშეკრულებით გათვალისწინებული იმპორტირებული საქონლის თვითღირებულებამ შეადგინა დაახლოებით 271.9 ათასი ლარი (დღგ-ს გარეშე). გასაყიდმა ფასმა დღგ-ს გარეშე შეადგინა 380.9 ათასი ლარი (449.5/1.18). ფასნამატი თვითღირებულებაზე შეადგენს დაახლოებით 109.0 ათას ლარს (40%).

დეპარტამენტსა და შპს „კასა ტრეიდს“ შორის გაფორმებული 2010 წლის 3 დეკემბრის N01/37/03 ხელშეკრულების ფარგლებში კომპანიამ მოაწოდა 100 ერთეული GPS/GPRS

მოწყობილობები (FOX-LT-B1-SET ანტენებით FAL-ANT-10) 50.0 ათას ლარად და პროგრამული უზრუნველყოფა 56.0 ათას ლარად. იმპორტის დოკუმენტებით გაირკვა, რომ GPS/GPRS მოწყობილობების თვითღირებულებამ შეადგინა დაახლოებით 28.5 ათასი ლარი. გასაყიდმა ფასმა დღ-ს გარეშე - 42.4 ათასი ლარი (50.0/1.18). ფასნამატი - დაახლოებით 13.9 ათასი ლარი (48%). კომპანიამ პროგრამული უზრუნველყოფის შესყიდვის დოკუმენტები არ წარმოადგინა.

2011 წლის 26 დეკემბრის N01/381/02 (ელექტრონული ტენდერი SPA110029982) ხელშეკრულების ფარგლებში შპს „კასა ტრეიდმა“ დეპარტამენტს მოაწოდა 500 ერთეული (250.0 ათას ლარად) იგივე სახის GPS/GPRS მოწყობილობები, რომლის თვითღირებულებამ შეადგინა დაახლოებით 129.7 ათასი ლარი. გასაყიდმა ფასმა დღ-ს გარეშე - 211.9 ათასი ლარი. ფასნამატი - დაახლოებით 82.2 ათასი ლარი (63%).

### ბინის ქირა

2010-2012 წლების განმავლობაში დეპარტამენტს თავმჯდომარის მოადგილის ივანე წიკლაურის საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფის მიზნით ფიზიკური პირი მანანა ოქროპირიძისგან დაქირავებული ჰქონდა ბინა ქ. თბილისში, ალექსიძის ქ. N1, ყოველთვიური საფასურით 1.0 ათასი აშშ დოლარის ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში. სულ 2010-2012 წლების განმავლობაში გადახდილი იქნა 49.9 ათასი ლარი. აღნიშნული ხარჯების გაწევის დროს გათვალისწინებული არ არის კანონმდებლობის მოთხოვნა<sup>30</sup>, რომლის მიხედვითაც დაქირავებულის მიერ დაქირავებულისთვის საცხოვრებლის სარგებლობაში გადაცემისას საიჯარო ქირის წლიური საბაზრო ღირებულება განეკუთვნება ხელფასის სახით მიღებულ შემოსავლებს და იბეგრება საშემოსავლო გადასახადით. შედეგად საცხოვრებელი ბინით მოსარგებლე ივანე წიკლაური დაბეგრული არ არის საშემოსავლო გადასახადით ჯამურად 10.0 ათასი ლარის ოდენობით.

### წარმომადგენლობითი ხარჯები

დეპარტამენტს 2010-2012 წლების განმავლობაში წარმომადგენლობითი ხარჯების მიზნით საკუთარი სახსრებიდან გაწეული აქვს ჯამურად 660.0 ათასი ლარის ფაქტობრივი ხარჯი (მათ შორის 2010 წელს 79.4 ათასი ლარის, 2011 წელს 364.1 ათასი ლარის და 2012 წელს 216.5 ათასი ლარის ხარჯი). შემოწმებით გაირკვა, რომ ხშირ შემთხვევებში ხარჯები გაწეულია დაუსაბუთებლად და გაურკვეველი მიზნით. კერძოდ, ზოგჯერ სასტუმროს ან სარესტორნო მომსახურების ხარჯები გაწეულია ისე, რომ დეპარტამენტში არ მოიპოვება ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით თუ ვინ და რატომ იცხოვრა სასტუმროში, რასთან დაკავშირებით იმლებოდა სუფრები რესტორნებში და ვინ ესწრებოდა. ცალკეულ შემთხვევებში დოკუმენტებში მითითებულია, რომ ჩამოსული არიან „მაღალი რანგის სტუმრები“, თუმცა გაურკვეველია თუ ვინ იმყოფებოდნენ სტუმრების რანგში და რომელი უწყებიდან. ზოგიერთ შემთხვევაში საქართველოს საკურორტო ქალაქებში სასტუმროს მვირადღირებულ ნომრებში

<sup>30</sup> საქართველოს საგადასახადო კოდექსის 80-ე მუხლის 1-ლი ნაწილის, მე-100 მუხლის მე-3 ნაწილის და 101-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ პუნქტის მოთხოვნები.

ცხოვრობენ დეპარტამენტის ცალკეული თანამშრომლები ისე, რომ გაურკვეველია იქ ყოფნის ოფიციალური მიზანი და ა.შ. მაგალითად:

2010 წლის 6 მაისს დეპარტამენტმა შპს „თბილისურ რესტორნებთან“ გააფორმა ხელშეკრულება N03/33/03 სარესტორნო მომსახურებაზე ღირებულებით 6.1 ათასი ლარი. წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტის და ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე აღნიშნული თანხა გადახდილი იქნა. არც ხელშეკრულებაში და არც მიღება-ჩაბარების აქტში არ არის დაფიქსირებული თუ რა მიზნით გაიმართა წვეულება, ვინ და რამდენი ადამიანი ესწრებოდა ღონისძიებას.

ანალოგიურად 2010 წლის 15 ივნისს დეპარტამენტმა შპს „წისკილთან“ გააფორმა ხელშეკრულება N03/33/10 სარესტორნო მომსახურებაზე ღირებულებით 3.2 ათასი ლარი. გაურკვეველია წვეულების მიზანი და მონაწილეთა ვინაობა.

2010 წლის 16 დეკემბერს დეპარტამენტის სალაროდან გაცემულია 5.1 ათასი ლარი სარესტორნო მომსახურების ასანაზღაურებლად შპს „ჯორჯიან ჰოტელ მენეჯმენტის“ მიერ წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის და დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსის უ. ბეჟანიშვილის პატაკის საფუძველზე (რომელშიც ის ითხოვს პირადი გახარჯული თანხის ანაზღაურებას). უცნობია თუ ვინ და რამდენი ადამიანი იმყოფებოდა (მათ შორის სტუმრის სტატუსით) წვეულებაზე.

2011 წლის 16 მარტს დეპარტამენტმა შპს „მტმ“-თან გააფორმა ხელშეკრულება N02/10 დაბა ბაკურიანში სასტუმრო და სარესტორნო მომსახურებისთვის ღირებულებით 23.8 ათასი ლარი. მიღება-ჩაბარების აქტის და ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე აღნიშნული თანხა გადახდილი იქნა. არც ხელშეკრულებაში და არც მიღება-ჩაბარების აქტში არ არის დაფიქსირებული თუ რა ღონისძიება გაიმართა და რამდენი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა, ვინ მონაწილეობდა, რამდენს შეადგენდა ცალკე სასტუმროს და ცალკე სარესტორნო მომსახურებები და სხვა.

2011 წლის 14 ივლისს გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში (SPA110017078) გამარჯვების საფუძველზე დეპარტამენტმა გააფორმა ხელშეკრულება N01/551/02 ი/მ „ირინე ნარაკიძესთან“ ხელვაჩაურის რაიონში, კვარიათში სასტუმროს მომსახურებაზე 2011 წლის 23 ივლისიდან 3 სექტემბრის ჩათვლით. სახელშეკრულებო ღირებულებამ შეადგინა 20.5 ათასი ლარი. მიღება-ჩაბარების აქტების და ანგარიშ-ფაქტურების საფუძველზე აღნიშნული თანხა ეტაპობრივად გადახდილი იქნა. დეპარტამენტის პასუხისმგებელი პირების სიტყვიერი ახსნა-განმარტების მიხედვით აღნიშნული სასტუმრო დაქირავებული იქნა თანამშრომელთა დასვენების მიზნით. მაგრამ დოკუმენტებში არ არის დაფიქსირებული თუ ვინ, როდის და რამდენი დღით ისარგებლა აღნიშნული მომსახურებით და რა კრიტერიუმებით შეირჩა თანამშრომლები.

2011 წლის 25 აგვისტოს დეპარტამენტმა გააფორმა ხელშეკრულება N02/41 შპს „საქართველოსთან“ სასტუმროს მომსახურებაზე ღირებულებით 11.3 ათასი ლარი. ხელშეკრულების მიხედვით მომსახურება გათვალისწინებული იყო მაღალი რანგის უცხოელი სტუმრებისთვის ქ. ქობულეთში (თუმცა დაკონკრეტებული არ იყო). შპს „საქართველოს“ მიერ წარმოდგენილი ინვოისის მიხედვით 26-დან 29 აგვისტომდე სასტუმროს ნომრებით და კვებით მოსარგებლებად მითითებულია დეპარტამენტის აჭარის

დაცვის პოლიციის სამმართველოს თანამშრომლები კვესიშილი გიორგი, აბაშიძე ელდარი და დევაძე რევაზი. გაურკვეველია რეალურად მოსარგებლე პირების ვინაობა.

2011 წლის 21 დეკემბერს დეპარტამენტმა გააფორმა ხელშეკრულება N02/58 შპს „ნარიყალასთან“ უცხოელი სტუმრების აბანოთი მომსახურებაზე („თაფლით მასაჟის“ გათვალისწინებით) ღირებულებით 1.2 ათასი ლარი. გაურკვეველია თუ ვინ იმყოფებოდნენ სტუმრების რანგში.

2011 წლის 25 დეკემბერს დეპარტამენტმა შპს „ცაცხვებთან“ გააფორმა ხელშეკრულება N02/61 სარესტორნო მომსახურებაზე რესტორან „ვენეციაში“ (ცხინვალის გზატკეცილზე) ღირებულებით 5.9 ათასი ლარი. გაურკვეველია წვეულების მიზანი და მონაწილეთა ვინაობა.

ანალოგიურ ვითარებას აქვს ადგილი 2012 წლის განმავლობაშიც. 2012 წლის 10 მაისს შპს „მცხეთის დარბაზისთვის“ გადახდილია 18.1 ათასი ლარი (ს/დ 6497), 2012 წლის 27 ივნისს შპს „სასტუმრო თორისთვის“ გადახდილია 4.0 ათასი ლარი (ს/დ 7219), 2012 წლის 4 ივლისს ი/მ „მნაცკან ოგანესიანისთვის“ გადახდილია 4.0 ათასი ლარი (ს/დ 7372), 2012 წლის 4 ივლისს შპს „ალავერდისთვის“ გადახდილია 4.1 ათასი ლარი (ს/დ 7371) სარესტორნო მომსახურებებისთვის. 2012 წლის 28 ივნისს შპს „სასტუმრო ინტურისტ პალასისთვის“ გადახდილია 4.5 ათასი ლარი (ს/დ 7270) სასტუმრო მომსახურებისთვის და ა.შ. უცნობია წვეულებების მიზნები და სტუმრების ვინაობა.

### საავიაციო საწვავის შესყიდვა

2012 წლის 9 თებერვალს დეპარტამენტმა სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიასთან“ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გააფორმა სახელმწიფო შესყიდვაზე ხელშეკრულება N03/091/41 ღირებულებით 180.0 ათასი ლარი გაზტურბინული ძრავებისთვის 100 მეტრიკული ტონა საავიაციო საწვავის შესაძენად (1 კგ - 1.8 ლარი). გამარტივებული შესყიდვის საშუალების გამოყენების საფუძველად მოტანილია გადაუდებელი აუცილებლობა. 2012 წლის 31 მაისს დეპარტამენტმა გააფორმა ხელშეკრულება N3 იმავე სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიასთან“ მისგან შესყიდული ზემოაღნიშნული საწვავის (99.6 ტონა) უკან მიყიდვასთან დაკავშირებით იგივე ფასად (1 კგ - 1.8 ლარი). ხოლო 400 კგ საწვავი გაყიდული იქნა შპს „ვიპ ავიამშენზე“ (1კგ - 1.925 ლარად), საიდანაც მიღებულმა მოგებამ შეადგინა 50 ლარი.

რამდენიმე დღის შემდეგ 2012 წლის 12 ივნისს დეპარტამენტმა კვლავ გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიასთან“ ისევ გააფორმა სახელმწიფო შესყიდვაზე ხელშეკრულება N03/091/146 ღირებულებით 179.3 ათასი ლარი გაზტურბინული ძრავებისთვის 94.3 ტონა საავიაციო საწვავის შესაძენად (1 კგ - 1.9 ლარი). ხოლო 2012 წლის 12 ოქტომბერს დეპარტამენტმა გააფორმა ხელშეკრულება N3 იმავე სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიასთან“ მისგან შესყიდული ზემოაღნიშნული საწვავის (94.3 ტონა) კვლავ უკან მიყიდვასთან დაკავშირებით შესყიდვის ფასად (1 კგ - 1.9 ლარი).

გამარტივებული შესყიდვის გზით საავიაციო საწვავის შეძენასთან დაკავშირებით მიღებული ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებები არ შეესაბამება სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნებს (რადგან არ არსებობდა ვითარება,

რომელიც საფრთხეს უქმნიდა დეპარტამენტის ფუნქციონირებას და ა.შ.). შესყიდვები უნდა განხორციელებულიყო გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით. მეორეს მხრივ გაუგებარია პირველად შესყიდული საწვავის უკან დაბრუნების შემდეგ რამდენიმე დღეში იგივე საწვავის ხელმეორედ შესყიდვა, რომელიც ისევ უკან იქნა დაბრუნებული რამდენიმე თვის შემდეგ. რამაც ზემოთ განხილული მიზეზების გამო დეპარტამენტისთვის ისედაც პრობლემური საბრუნავი ფულადი სახსრები კიდევ უფრო დეფიციტური გახადა.

### პრემიები

2010 წლის განმავლობაში დეპარტამენტის მიერ გაცემულია სულ 1849.2 ათასი ლარის პრემია (მათ შორის: საკუთარი შემოსავლებიდან 1502.0 ათასი ლარი, საბიუჯეტო სახსრებიდან 347.2 ათასი ლარი). 2011 წლის განმავლობაში გაცემულია სულ 2439.8 ათასი ლარის პრემია (მათ შორის: საკუთარი შემოსავლებიდან 1960.7 ათასი ლარი, საბიუჯეტო სახსრებიდან 479.1 ათასი ლარი). ხოლო 2012 წლის განმავლობაში დეპარტამენტის მიერ გაცემულია სულ 2991.7 ათასი ლარის პრემია (მათ შორის: საკუთარი შემოსავლებიდან 2351.0 ათასი ლარი, საბიუჯეტო სახსრებიდან 640.7 ათასი ლარი).

შემოწმებით გაირკვა, რომ ხელმძღვანელ პირებზე პრემიების გაცემა წარმოებდა ყოველთვიურად. გაცემული პრემიები მნიშვნელოვნად აღემატებოდა თანამდებობრივ, წოდებრივ და წელთა ნამსახურების სარგოების ჯამს. თუმცა გაურკვეველია თუ რა კონკრეტული დამსახურებებისთვის გამოიყენებოდა წახალისების აღნიშნული ფორმა. აღსანიშნავია, რომ ხელმძღვანელი პირებისგან განსხვავებით რიგით თანამშრომლებზე პრემიების გაცემა წარმოებდა იშვიათად და ისიც საშუალოდ 125-250 ლარის ფარგლებში. მაგალითად:

დეპარტამენტის თავმჯდომარეს კ. ლეგაშვილს შრომის ანაზღაურების სახით 2010 წლის განმავლობაში მიღებული აქვს 86.7 ათასი ლარი, მათ შორის პრემია 49.1 ათასი ლარი. 2011 წლის განმავლობაში შრომის ანაზღაურების სახით მიღებული აქვს 89.3 ათასი ლარი, მათ შორის პრემია 51.7 ათასი ლარი. 2012 წლის 6 თვის განმავლობაში შრომის ანაზღაურების სახით მიღებული აქვს 46.7 ათასი ლარი, მათ შორის პრემია 27.0 ათასი ლარი. სულ 2010 წლის იანვრიდან 2012 წლის ივლისამდე პერიოდში შრომის ანაზღაურების სახით მიღებული აქვს 222.7 ათასი ლარი, მათ შორის პრემია 127.8 ათასი ლარი.

დეპარტამენტის თავმჯდომარეს ზ. ღონიაშვილს მუშაობის დაახლოებით 4 თვის განმავლობაში (2012 წლის ივლისიდან ნოემბრამდე) შრომის ანაზღაურების სახით მიღებული აქვს 44.9 ათასი ლარი, მათ შორის პრემია 31.2 ათასი ლარი. 2012 წლის ოქტომბერში პრემიის სახით მიღებული აქვს 12.5 ათასი ლარი.

პრემიის სახით ასევე 12.5 ათასი ლარი აქვს მიღებული 2012 წლის ოქტომბერში დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეს ზ. ბალარჯიშვილს.

ანალოგიურად, 2010 წლიდან 2012 (არასრული) წლების განმავლობაში დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეს ი. წიკლაურს შრომის ანაზღაურების სახით მიღებული აქვს 174.5 ათასი ლარი, მათ შორის პრემია 81.2 ათასი ლარი. თავმჯდომარის მოადგილეს მ. ახვლედიანს შრომის ანაზღაურების სახით მიღებული აქვს 170.0 ათასი ლარი, მათ შორის

პრემია 79.6 ათასი ლარი. თავმჯდომარის მოადგილეს პ. ზურებიანს შრომის ანაზღაურების სახით მიღებული აქვს 168.0 ათასი ლარი, მათ შორის პრემია 78.8 ათასი ლარი. თავმჯდომარის მოადგილეს დ. ნასყიდაშვილს შრომის ანაზღაურების სახით მიღებული აქვს 176.4 ათასი ლარი, მათ შორის პრემია 65.6 ათასი ლარი. თავმჯდომარის მოადგილეს გ. ტალახაძეს შრომის ანაზღაურების სახით მიღებული აქვს 151.7 ათასი ლარი, მათ შორის პრემია 72.7 ათასი ლარი.

აღსანიშნავია, რომ დეპარტამენტმა ვერ წარმოადგინა თანამშრომელთა მატერიალური წახალისებისთვის გამოყოფილი სახსრების ლიმიტის სამინისტროსთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტი, რასაც მოითხოვს საქართველოს კანონმდებლობა<sup>31</sup>.

### მივლინებები ქვეყნის გარეთ

2010 წლის განმავლობაში ქვეყნის გარეთ მივლინებებზე გახარჯულია 161.3 ათასი ლარი. 2011 წლის განმავლობაში გახარჯულია 137.8 ათასი ლარი, ხოლო 2012 წლის განმავლობაში გახარჯულია 135.8 ათასი ლარი. სულ შესამოწმებელ პერიოდში გახარჯულია 434.9 ათასი ლარი. ხარჯები გაწეულია დეპარტამენტის საკუთარი შემოსავლებიდან.

როგორც შემოწმებით გაირკვა ქვეყნის გარეთ მივლინებებში მიემგზავრებოდნენ მხოლოდ სხვადასხვა რანგის ხელმძღვანელი პირები. კანონმდებლობის მიხედვით<sup>32</sup> სამსახურებრივ მივლინებად ითვლება შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელის ბრძანებით მოსამსახურის გამგზავრება სამსახურებრივი დავალების შესასრულებლად მუდმივი სამუშაო ადგილის ფარგლებს გარეთ. შემოწმებით გაირკვა, რომ მივლინებებთან დაკავშირებულ დოკუმენტებში არ არის დაფიქსირებული მივლინების მიზანი. გაურკვეველია თუ რა სამსახურებრივი დავალების შესასრულებლად მიემგზავრებოდნენ დეპარტამენტის ხელმძღვანელი პირები სხვადასხვა უცხოურ ქვეყნებში. ვერ იქნა წარმოდგენილი მივლინების შემდგომი პატაკები, ანგარიშები ან სხვა დოკუმენტები, რომლებიც დაადასტურებდა სამსახურებრივი დავალების შესრულებას. ცალკეულ შემთხვევებში არსებობს დეპარტამენტის სახელზე გამოგზავნილი მიწვევები სხვადასხვა ქვეყნებიდან, რომლებშიც დაფიქსირებულია მიწვეულთა კონკრეტული გვარები (რაც გარკვეულ ეჭვს ბადებს). უფრო მეტიც, ზოგიერთ შემთხვევებში მივლინების ბრძანებებში მითითებულია ზოგადად „სამსახურებრივი აუცილებლობიდან გამომდინარე“, მაგრამ მიღებული არაოფიციალური ინფორმაციებიდან და ფაქტობრივი დამადასტურებელი გარემოებებიდან ჩნდება გონივრული ეჭვი, რომ ქვეყნის გარეთ გამგზავრებები ხშირ შემთხვევებში მიზნად ისახავდა არა სამსახურებრივი დავალებების შესრულებას, არამედ საფეხბურთო მატჩებზე დასწრებას, კალათბურთში ევროპის ჩემპიონატზე გამგზავრებას ან სხვა სახის დასვენებას. მაგალითად:

<sup>31</sup> საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის მოთხოვნა.

<sup>32</sup> საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის N231 ბრძანებულებით დამტკიცებული მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების წესის 1-ლი პუნქტის მიხედვით.

დეპარტამენტის თავმჯდომარის 2012 წლის 18 ივლისის N946879 და N947348 ბრძანებებით დეპარტამენტის სხვადასხვა რანგის ათი ხელმძღვანელი პირი (პაატა ზურებიანი, გიორგი შარაშიძე, ლაშა ტულუში, დავით ხვინგია, ზაზა ოზაშვილი, დავით საკანდელიძე, მიხეილ ლეონიძე, გია კობაჩიშვილი, მიხეილ ახვლედიანი, ლევან ნებიერიძე) „სამსახურებრივი აუცილებლობიდან გამომდინარე“ 2012 წლის 19-20 ივლისს მივლინებული იყვნენ დანიაში ქ. ორჰუსში. უცნობია თუ რა სამსახურებრივი დავალება შეასრულეს აღნიშნულმა პირებმა, მაგრამ ცნობილია, რომ 2012 წლის 19 ივლისს დანიის ქალაქ ორჰუსში გაიმართა ევროპის ლიგის 2012-2013 წლების გათამაშების მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი მატჩი ფეხბურთში დანიის „ორჰუსსა“ და გორის „დილას“ შორის. აღნიშნულ მივლინებაზე დეპარტამენტის საკუთარი სახსრებიდან გაიხარჯა 4.1 ათასი ლარი.

დეპარტამენტის თავმჯდომარის 2012 წლის 6 აგვისტოს N1041949 ბრძანებით სხვადასხვა რანგის რვა ხელმძღვანელი პირი (ნუგზარ სარალიძე, სერგო გუგუშვილი, ზურაბ აფრიდონიძე, დავით ხვინგია, გიორგი შარაშიძე, ზვიად ბალარჯიშვილი, გიორგი ბაკურაძე, პაატა ზურებიანი) 2012 წლის 7-10 აგვისტოს მივლინებული იყვნენ კვიპროსში. 2012 წლის 9 აგვისტოს კვიპროსში გაიმართა ევროპის ლიგის 2012-2013 წლების გათამაშების მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის მეორე მატჩი ფეხბურთში კვიპროსის „ანორთოზისსა“ და გორის „დილას“ შორის. აღნიშნულ მივლინებაზე დეპარტამენტის საკუთარი სახსრებიდან გაიხარჯა 11.3 ათასი ლარი.

დეპარტამენტის თავმჯდომარის 2012 წლის 17 აგვისტოს N1098974 და 20 აგვისტოს N1112193 ბრძანებებით დეპარტამენტის სხვადასხვა დონის რვა ხელმძღვანელი პირი (გრიგოლ ბაკურაძე, ზაზა მამულაშვილი, ზვიად ბალარჯიშვილი, ნუგზარ სარალიძე, ლაშა მაისურაძე, სერგო გუგუშვილი, დავით ჩხიტუნძიძე, ბესიკ ბაჩიაშვილი) „სამსახურებრივი აუცილებლობიდან გამომდინარე“ 21-24 აგვისტოს მივლინებული იყვნენ პორტუგალიაში, ქალაქ ფუნჩალში. გაურკვეველია თუ რა სამსახურებრივი დავალება შეასრულეს აღნიშნულმა პირებმა პორტუგალიის ქალაქ ფუნჩალში, მაგრამ ფაქტობრივი გარემოებაა ის, რომ ამ ქალაქში 2012 წლის 23 აგვისტოს გაიმართა ფეხბურთში ევროპის ლიგის 2012-2013 წლების გათამაშების ფლეი-ოფფ რაუნდის პირველი შეხვედრა ადგილობრივ „მარტიმუს“ და გორის „დილას“ შორის. აღნიშნულ მივლინებაზე დეპარტამენტის საკუთარი სახსრებიდან გაიხარჯა 8.4 ათასი ლარი.

დეპარტამენტის თავმჯდომარის 2011 წლის 7 სექტემბრის N1101753 ბრძანებით სხვადასხვა რანგის ხელმძღვანელი პირები (მიხეილ ახვლედიანი, პაატა ზურებიანი, ავთანდილ ოქრომელიძე) 2011 წლის 8-13 სექტემბერს მივლინებული იყვნენ ლიტვაში ქ. ვილნიუსში. 2011 წლის 8-12 სექტემბერს ქ. ვილნიუსში გაიმართა კალათბურთში ევროპის ჩემპიონატის მეორე რაუნდის „F“ ჯგუფის შეხვედრები, რომელშიც მონაწილეობდა საქართველოს ნაკრები. აღნიშნულ მივლინებაზე დეპარტამენტის საკუთარი სახსრებიდან გაიხარჯა 3.7 ათასი ლარი.

2011 წლის 1 ივნისს დეპარტამენტის თავმჯდომარემ კ. ლეგაშვილმა გამოსცა ბრძანება N637282, რომლის მიხედვითაც საპროტოკოლო განყოფილების თანამშრომლები ეკატერინე კალნიცაია და ანგელინა მუსაევა 2011 წლის 5-13 ივნისს მივლინებული იყვნენ თურქეთში. ხოლო 2011 წლის 4 ივნისს დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ მ. ახვლედიანმა გამოსცა ბრძანება N655067, რომლის მიხედვითაც დეპარტამენტის თავმჯდომარე კახა ლეგაშვილი 2011 წლის 8-13 ივნისს მივლინებული იქნა თურქეთში. აღნიშნულ მივლინებებთან დაკავშირებით არსად ფიქსირდება თუ რომელ ქალაქში და რა დავალებით იმყოფებოდნენ ეს პირები თურქეთში. მხოლოდ ავიაბილეთების ელექტრონული

ვერსიებიდან გაირკვა, რომ აღნიშნული პირები გამგზავრებული იყვნენ საკურორტო ქალაქ ანტალიაში.

დეპარტამენტის თავმჯდომარის 2009 წლის 23 დეკემბრის N7254 პ/შ და სამინისტროს კადრების მთავარი სამმართველოს უფროსის 2009 წლის 23 დეკემბრის N13349 პ/შ ბრძანებებით დეპარტამენტის ხელმძღვანელი პირები (კახა ლეგაშვილი, მიხეილ ახვლედიანი, გიორგი ტალახაძე, გიორგი ჯალიაშვილი, თინათინ გოგობერიშვილი) 2009 წლის 30 დეკემბრიდან 2010 წლის 6 იანვრამდე „სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე“ მივლინებული იყვნენ საფრანგეთში ქ. პარიზში. გაურკვეველია თუ რა სამსახურებრივი დავალება შეასრულეს აღნიშნულმა პირებმა ქ. პარიზში საახალწლო ღამეს თუ საშობაო არდადაგებზე, მაგრამ გაირკვა რომ აღნიშნულ მივლინებაზე გაიხარჯა 20.8 ათასი ლარი.

ანალოგიურად გაურკვეველი მიზნებით გამოიკა ბრძანებები და დეპარტამენტის სხვადასხვა ხელმძღვანელ პირებს გაუფორმდათ ქვეყნის გარეთ მივლინებები: ავსტრიაში (ბრძანება N1483 პ/შ, 17.03.2010წ. გაიხარჯა 10.7 ათასი ლარი), ჰოლანდიაში (ბრძანება N4168 პ/შ, 09.07.2010წ. გაიხარჯა 9.3 ათასი ლარი), იაპონიაში (ბრძანება N5378 პ/შ, 01.09.2010წ. გაიხარჯა 23.8 ათასი ლარი), გერმანიაში (ბრძანება N917734, 29.07.2011წ. გაიხარჯა 10.1 ათასი ლარი), დუბაიში (ბრძანებები N294396 და N294382, 05.03.2012წ. გაიხარჯა 6.5 ათასი ლარი) და ა.შ.

### **უარყოფითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ**

ჩვენი აზრით დეპარტამენტის საქმიანობა და ფინანსური ოპერაციები ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით შესაბამისობაში არ არის მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან.

### **აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი:**

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით აუდიტის ობიექტები, რომლებიც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად არიან ადმინისტრაციული ორგანოები, უფლებამოსილი არიან სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში გაასაჩივრონ მხოლოდ სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

წამყვანი აუდიტორი

გია ნადარეიშვილი



30.08.2013

უფროსი აუდიტორი

მაია ქობალაია

მ. კობალაია

30.08.2018

აუდიტორი

მაია მუჯირიშვილი

მ. მუჯირიშვილი

30.08.2018

აუდიტორი

მეგი კოდოშვილი

მ. კოდოშვილი

30.08.2018